პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. კ. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76 მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველი პრ. № 26, ტელეფონი 5-43.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 214 სამშაბათი, 18 სექტემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250.000 მ.ნ. № 214

დღიური

— მოკავშირეებმა დაიწყეს ჯარების გაყვანა [illegible].

— ესპანეთის დიქტატორმა დე-რივერამ დაითხოვა პარლამენტი და მარტო განაგებს ქვეყანას.

— საბერძნეთის მთავრობა უკვე დათანხმდა იტალიის წინაშე ბოდიშის მოხდაზე.

— საფრანგეთის პრესა კმაყოფილია შტრეზემანის სიტყვით, თუმცა მაინც წინააღმდეგია რურის დაცლაზე.

სამშაბათს, 18 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სასახლეში

შესდგება

სრულიად საქარ. ცენტრალმასკომის პრეზიდიუმის სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
სრ. საქ. ცენტრალმასკომის მდივანი პ. ხაზაშვილი.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მუშაკებს, ხუშებს, გლეხებს და ყველა პატიოსან მოქალაქეებს

თქვენ უკვე იცით ისტორიაში უჩვეულო კატასტროფა, რომელიც გამოიწვია მიწისძვრამ იაპონიაში, დაინგრა უდიდესი სამრეწველო და მუშათა ქალაქები და მუშათა კვარტალები მათში. ყველაზე ღარიბი ფენები,—იაპონიის მშრომელები, გახდნენ მსხვერპლი სტიქიისა, ისე როგორც ისინი დღემდის იყვნენ მსხვერპლი იმპერიალიზმის.

ს. ს. რ. კავშირის მშრომელები პირველ რიგში უწოდებენ დახმარების ხელს იაპონიის პროლეტარებს და გლეხებს და უწევენ დახმარებას უსაშინელეს უბედურების დროს.

ამიერ-კავკასიის მშრომლები, თავიანთ საერთო ფედერატიულ მთავრობის მეთაურობით, როგორც ს. ს. რ. კავშირის ყველა მშრომლები გაუწევენ დახმარებას უბედურ ძმებს—იაპონიის მუშებს და გლეხებს. ამიერ კავკასიის ცაკი მოგიწოდებთ თქვენ, ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებს და პატიოსან მოქალაქეთ, ყველა კრებებზე და საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოების სახელმწიფოებრივ, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებში შეჰკრიბოთ პროლეტარულ-გლეხური გროშები და გაგზავნოთ ამიერკავკასიის ცაკთან არსებულ კომისიაში... დიახ, ნუ გამოიჩენს სიძუნწეს თქვენი ძმური დახმარების ხელი საბჭოთა ქვეყნის ამხანაგებო და პატიოსანო მოქალაქენო...

ვსთხოვ ყველა გაზეთებს ყველა ენებზე სთარგმნონ ეს მოწოდება.

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცაკთან არსებული მიწის ძვრისაგან დაზარალებულ იაპონელების სასარგებლოთ შემოწირულებათა შემკრები ცენტრალური კომისია სთხოვს ამიერ-კავკასიის, საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელნიც აგროვებენ კოლექტიურ შემოწირულებათ ისევე, როგორც ამხ. მუშებს, გლეხებს, წითელარმიელებს და დანარჩენ მოქალაქეებს, რომელთაც სურთ დაეხმარონ დაზარალებულ იაპონელებს, გაუგზავნონ შემოწირულებანი ამიერ-კავკასიის ცაკთან არსებულ შემოწირულებათა შემკრებ ცენტრალურ კომისიას, რომელიც მოთავსებულია სასახლეში, ოთახი № 7.

ცენტრალური კომისია.

ჩვენი მოვალეობა

უთვალავ და უმძიმეს უბედურებებმა, რომელნიც დაატყდნენ კაცობრიობას უკანასკნელი იმპერიალისტური ომისა და მის შემდეგ, მოადუნეს ადამიანის მგრძნობიარობა. ჩვენ შევეჩვიეთ გაჭირვებას. ხშირად ხელის ჩაქნევით და გულგრილად გვერდს აუვლით ისეთ მოვლენებს და სურათებს, რომელთაც უნდა შეეტორტმანებიათ და აეღელვებიათ ჩვენი არსება.

მაგრამ ხდებიან ისეთი გულშემზარავი და საშინელი მოვლენები, ისეთი უბედურებანი, რომელთა გაგონებასა და წარმოდგენაზე შეუძლებელია გაჩუმება, რომელნიც ღრმად იჭრებიან ჩვენს ბუნებაში, გვახსენებენ ადამიანურს მოვალეობას და გვიწვევენ სამოქმედოდ.

ასეთი მოვლენაა იაპონიის ხალხზე მოვლენილი უბედურება.

მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა ჯოჯოხეთი დატრიალდა იაპონიაში. საშინელმა მიწისძვრამ ის თითქმის სავსებით გაანადგურა. მიწასთან გაასწორა მრავალი ქალაქი და სოფელი. ბევრი ადგილი წყალმა დაფარა. აუარებელი ხალხი სავსებით დაიღუპა. უფრო მეტი დასახიჩრდა. ულმობელმა სტიქიამ შთანთქა ათეული წლობით ნაამაგარი სიმდიდრე. ურიცხვი ხალხი უსახლკაროდ და ულუკმა-პუროდ დარჩა. ისტორიას არ ახსოვს ასეთი მასშტაბის და სიმძლავრის მიწისძვრა.

რა თქმა უნდა, აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდენ პირველ ყოვლისა და უმთავრესად იაპონიის მშრომელი მასები, რომელნიც დგანან ფიზიკური ამოწყვეტის უშუალო საშიშროების ქვეშ. მრავალი მათგანი კიდეც დაიხოცა დახმარების აღმოუჩენლობის გამო.

იაპონიის მშრომელებისადმი დახმარების ხელის გაწვდენა,—ეს ჩვენი წმინდა მოვალეობაა, მოვალეობა საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების.

ჩვენ ვიცით იაპონიის მმართველი წრეების მტრული განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. საბჭოთა მთავრობას ძველი ანგარიშები აქვს იაპონიის იმპერიალისტურ მთავრობასთან, რომელმაც ისარგებლა რევოლიუციონურ რუსეთის გართულებული მდგომარეობით და მას აურაცხელი ზიანი მიაყენა შორეულ აღმოსავლეთში; მას დღესაც უკავია იქ საბჭოთა კავშირის ტერიტორია. ასეთი დამოკიდებულებისაგან იაპონიის მთავრობას ხელი არ აუღია ეხლაც, ამ კრიტიკულ მომენტშიც. ამას ადასტურებს ის ცნობა, რომელიც მოთავსებულია გაზეთის დღევანდელ №-ში. იაპონიის დასახმარებლად ნავთსადგურ იოკაგამაში ჩასულ, სურსათით დატვირთულ რუსეთის გემს „ლენინს“ იაპონიის ხელისუფალთაგან მიუღია ბრძანება დატოვოს ნავთსადგური იმისათვის, თითქოს ამ გემს ვლადივოსტოკიდან წაეღოს 15 ტონა კომუნისტური ლიტერატურა. რუსეთის მეორე გემს აეკრძალა „კომანდის“ გადასხმა იაპონიის ტერიტორიაზე.

იაპონიის მთავრობას ეშინია „თავის“ მუშებში სიმპატიის გაძლიერებისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ეშინია რევოლიუციის და ამიტომაა ეს ჭორი გამოგონილი.

მაგრამ იაპონიის მთავრობის ასეთმა ნაბიჯმა ოდნავადაც არ უნდა შეანელოს ჩვენში წყურვილი დახმარების გაწევის იაპონიის მშრომელებისადმი, რომელნიც ამისათვის პასუხისმგებელნი არ არიან. პარიქით, ჩვენ ფართოდ უნდა მოვაწყოთ ამ დახმარების კამპანია. და ეს ასეც ხდება. მთელი საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა იაპონიის კატასტროფამ. საკავშირო მთავრობამ მიიღო შესაფერი ზომები. მუშათა ორგანიზაციები დაუზარებლად იღებენ თავიანთ წვლილს; ყველგან ეწყობა შემოწირულებათა შეგროვება.

ჩვენი მუშათა კლასიც არ ჩამორჩება მოძმე რესპუბლიკების მშრომელთ. ისიც მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ საქმეში და თავის ღარიბ ჯიბიდან მისცემს შესაძლებელ დახმარებას გაჭირვებაში ჩავარდნილ შორეულ თანამოძმეთ. ჩვენი ვალია შეუმსუბუქოთ იაპონიის პროლეტარიატის მასზე მოვლენილი უბედურება. ეს იქნება პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის და ერთობის დემონსტრაცია.

იაპონიის მუშათა კლასმა იცის, რომ ჩვენი დახმარება სრულებით არ წააგავს იმ „დახმარებას“, რომელსაც გაიღებს „განათლებული“ ბურჟუაზიული მსოფლიო, ანგარებით და იმპერიალისტური ზრახვებით აღსავსე.

რუსეთის ხალხმაც გამოსცადა მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ მისთვის გაწეული „დახმარება“, როცა მას საშინელი სიმშილობა დაატყდა თავზე. დასავლეთის ბურჟუაზია „დახმარების“ საკომპენსაციოდ საბჭოთა ქვეყნის და მისი მშრომელთა დამონებას მოითხოვდა.

დღესაც ის იაპონიის უბედურებაზე ხელის მოთბობას უფრო ფიქრობს, ვინემ იაპონელ პროლეტარიატის მძიმე ხვედრის შემსუბუქებას.

ჩვენი მშრომელი მასა კი დაინტერესებულია იაპონიის მუშათა კლასის გაძლიერებაში და მასთან ძმურ ურთიერთობის დამყარებაში. და ამას ის დღეს ამტკიცებს მატერიალური და მორალური დახმარების აღმოჩენით იაპონიის მშრომელი ხალხისადმი.

იაპონიის მოღონიერებული პროლეტარიატი თვითონ შესძლებს „თავის“ იმპერიალისტების ალაგმვას და საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას.

ჩვენი პრესა

(დისკუსიისათვის*)

გასაკვირი არ არის, რომ პრესის საკითხი ხელახლა ისმება ჩვენს წინაშე და მისი განხილვა დისკუსიას საჭიროებს ე. ი. აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლას ამხანაგთა შორის.

ბეჭდვითი ორგანოები: გაზეთები, ჟურნალები არის უძლიერესი საშუალება, რომლითაც პარტია უკავშირდება ფართე მასსებს და პირიქით. იქ ვაშუქებთ ჩვენ მრავალ საჭირბოროტო კითხვებს და ვიკაფავთ გზას მათ გადასაწყვეტათ. რადგანაც ასეთ სერიოზულ ამოცანებს ვუყენებთ პრესას, საჭიროა მას მეტი ყურადღება მივაქციოთ, ვიდრე ეხლა ექცევა.

რომ გადაავლოთ თვალი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ გაზეთებს, განცვიფრებაში მოხვალთ. მათ და ჩვენი პრესის შორის უდიდესი განსხვავება არის. ჩვენ ვლაპარაკობთ არა იმ განსხვავებაზე, რომ ბურჟუაზიული გაზეთები კაპიტალისტების კლასს ემსახურება და პროლეტარული კი პროლეტარულს. ეს თავის თავად ცხადია. მაგრამ არის სხვანაირი განსხვავებაც. ბურჟუაზიულ გაზეთებში მოთავსებულია საქმიანი წერილები ამა თუ იმ კონკრეტიულ კითხვებზე. ისინი არკვევენ ყველა კითხვებს, რომლებიც ეხება ყოველ მხარეს მათი საზოგადოებრივი ცხოვრებისას.

მოსკოვის პრესამაც დიდ გაუმჯობესებას მიაღწია და იქაც ჩვენ ვხედავთ დღეს საქმის ამგვარათ დაყენებას, იმ განსხვავებით, რომ ეს საქმე ჩვენს სასარგებლოთ არის. ამ მხრივ დიდი მზღვარია ევროპიულ და რუსულ პრესის, ერთის მხრივ, დ ჩვენი პრესის შორის, მეორეს მხრივ. რაშია საქმე? რას ვუწუნებთ ჩვენ ჩვენს გაზეთებს? რაში მდგომარეობს მათი ნაკლი?

სიმრავლე გაზეთებისა და ჟურნალების ჩვენ არ გვაკლია. მათი რაოდენობა არა თუ საკმარისია, არამედ მეტიცაა. მრავალ ტფილისის და პროვინციალური გაზეთების გარდა გამოდის ჟურნალები სახალხო კომისარიატებისა, პროფკავშირებისა და სხვ. და ყველა მათ თავის მოვალეობათ გაუხდიათ აუცილებლათ თავისი ორგანო იქონიონ, როდესაც საერთო პარტიული ორგანოები ვერ დაგვიყენებია შესაფერ სიმაღლეზე. დიახ, ჟურნალ-გაზეთების რაოდენობაზე ჩვენ წუხილი არ გვმართებს. საქმე მხოლოთ მათ თვისებაშია და აქ ჩვენ ბევრ ნაკლს ვამჩნევთ, რომლის შესახებ ლაპარაკობს თითეული ამხანაგი ცალ-ცალკე, მაგრამ პრესაში კი არაფერს ამბობენ. ამიტომ არის საჭირო დისკუსია დ პრესის საკითხის ფართეთ დასმა პარტიულ ამხანაგთა შორის.

პირველათ ჩვენ უნდა შევჩერდეთ ერთ მეტად არასასურველ გარემოებაზე.

პარტიასა და პრესას შორის არ არის შესაფერი კავშირი. ამ კავშირს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ პრესას აქვს ნაკლი, ეს წარმოსდგება იქიდან, რომ ჩვენ პარტია მთლიანათ ჯერ ვერ უწევს მას შესაფერ დახმარებას. ამ მხრივ შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომლის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. პარტიული კომიტეტი ნიშნავს სარედაქციო კოლეგიას, მაგრამ ის თავს დამოუკიდებლად გრძნობს და პარტიული კომიტეტიც შესაფერ ყურადღებას არ აქცევს. ჩვენ გაგვიგონია ხშირათ ამხანაგებისაგან: წერილების წერა ჩემი საქმე არ არის, ეს მე არ შემიძლია, ამისათვის არის სპეციალისტები ჟურნალისტები. რომლებიც ამ საქმეს აკეთებენო.

იქმნება მეტად არასასურველი მდგომარეობა. გაზეთი თუ ჟურნალი არსებობს სპეცი ჟურნალისტებისათვის და მათი საშვალებით. ეს კი მეტად არანორმალური მოვლენაა. აქ ჩვენ, ყველას, გვჭირია შეგნება იმის, რომ პრესის საქმე ჩვენი საერთო საქმეა და არა მარტო ერთი ჯგუფი ჟურნალისტების, რომ ის უნდა იძლეოდეს ნამდვილ სახეს ჩვენი მრავალმხრივი ცხოვრებისას. საქმის ასე დაყენება კი შეუძლია პარტიას მის და პრესის შორის კავშირის და დახმარების შეწყობით. ჩვენ, საქართველოში, არ გვაკლია ისეთი ძალები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენს გაზეთებში თანამშრომლობა. ასეთები ჩვენ მეტი გვყავს, ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე კუთხეს, თუ ცენტრებს მხედველობაში არ მივიღებთ. მაგრამ არ იქნა და არა, ვერ მოწესრიგდა მათი რეგულიარულათ თანამშრომლობა გაზეთებში. ამას ისინი თავის საქმეთ არ სთვლიან და ფიქრობენ, რომ ამისათვის არსებობენ სხვა პირები. რედაქციას კი მათ დაუხმარებლათ უეჭველათ არ შეუძლია მისცეს მკითხველს დასაბუთებული წერილები, მდიდარი ფაქტიური ცნობებით და მასალებით. ჩვენ გაბედულათ უნდა ვსთქვათ ეს და მივუთითოთ ამხანაგებს ამ ნაკლის გამოსწორებისაკენ. ეხლა გადავიდეთ ჩვენი გაზეთების უმთავრესად კი ჩვენი ცენტრალური ორგანოს, „კომუნისტისა“ შინაარსზე.

რაც შეეხება პოლიტიკური ხასიათის წერილებს, ისინი ჩვენ საკმაო გვაქვს და არც იზარებს არვინ დასწეროს წერილი რაიმე პოლიტიკურ თემაზე. ეს უფრო გვეხერხება, მაგრამ ამ წერილებს მაინც ნაკლი აქვთ. წერილები მოგრძოა. შეიძლება უფრო მოკლეთ, სხარტულათ გამოთქმა იმის, რასაც ჩვენ ორ სვეტზე ვწერთ. ამისათვის საჭიროა ზედმეტი სიტყვები ნახმარი არ იქნას და ყურადღება შეჩერებულ იქნას მთავარზე, ძირითადზე და მის ყოველმხრივ გაშუქებაზე. ჩვენ კი სანამ რაიმე საკითხს მივუდგებოდეთ მოწინავე წერილში, გვჭირდება დიდი შესავალის გაკეთება. აი, ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. მაგალითი შეგვიძლია ავილოთ გაზეთ მოსკოვის „პრავდიდან“. მისი ყოველი მოწინავე წერილის წაკითხვა ამდიდრებს ჩვენს გონებას ახალ ცოდნით და გაგებით, ახალი ფაქტიური მასალით, ჩვენ თვით ვაყენებთ ახალ კითხვებს, ვინტერესდებით და სხვ. რასაკვირველია, სხვადასხვა პირობებშია ჩვენი გაზეთები და მოსკოვის, ძალების მხრივ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ხსენებული მხრით კურსი მტკიცეთ არ ავილოთ.

უფრო მეტ ინტერესს და აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიური ხასიათის წერილები. ამ მხრივ კი ჩვენი პრესა ძლიერ მოიკოჭლებს. სულ სხვა იყო გაზეთის მთავარი ამოცანები რევოლიუციამდის და სულ სხვა ეხლა. რევოლიუციამ ჩვენ სახელმწიფოს სათავეში ჩაგვაყენა, ჩვენ უნდა ვუხელმძღვანელოთ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას. აქ კი ჩვენ გამოუცდელი ვიყავით. ჩვენს წინაშე მრავალი კითხვები იჭრებოდა და იჭრება. მათ გადაწყვეტა ესაჭიროება. მაგრამ საკითხის გადაწყვეტამდი მისი შესწავლაა საჭირო. ამ საქმეში კი პრესა გვეხმარება. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყებიდან პრესის წინაშე უფრო დიდი ამოცანები დაისახა. ჩვენ გვესაჭიროება გაშუქება ჩვენი კონკრეტიული ეკონომიური სინამდვილის: კოოპერაციის, მრეწველობის, სასოფლო-მეურნეობის დარგში. ამ დანიშნულებას კი ჩვენი პრესა ვერ ასრულებს ჯეროვანათ. ეს დანიშნულება კი მთავარია. ამ გარემოებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. საერთაშორისო მდგომარეობის ასე თუ ისე ცოდნა და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის არ ცოდნა ყოვლად მიუტევებელია. საქმის დაყენება კი შეიძლება. სახალხო მეურნეობის საბჭოში, ცენტროკავშირში და სხვ. მუშაობენ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ თავიანთ დარგიდან რეგულიარულად მიაწოდონ გაზეთებს წერილები. მოწინავის შემდეგ აუცილებლათ ასეთი საქმიანი, კონკრეტიული ხასიათის წერილი უნდა იბეჭდებოდეს გაზეთში. ეს კი ძნელი საქმე არ არის, თუ ჩვენ მოვახერხებთ პრესისადმი პასსივობის დაძლევას მრავალი ამხანაგების მხრივ. მაგრამ არც განყოფილებების საქმე არის ხეირიანათ. განყოფილებები: მუშათა, პარტიული, წითელი არმიის ცხოვრება და სხვ. მოიკოჭლებენ. ერთი, რომ ცოტა გვყავს კორესპონდენტები. მეორეთ, ყველა მათგანმა არ იცის თუ რაზე წეროს, რა თემა აიღოს. მაგალითი. გაზეთ: „კომუნისტის“ უკანასკნელ ნომრის (№ 212) მუშათა განყოფილებაში გვაქვს კორესპონდენცია მუშკორი ამხ. ალ. ბ—შვილისა. კორესპონდენცია ეხება თამბაქოს ქარხნის „პროლეტარის“ მუშების კრებას და შეიცავს თითქმის მის ანგარიშს. მაგრამ ეს სუსტი ანგარიშიც არის. მაგალითად იქ სწერია: „მუშებმა მოისმინეს მოხსენება (ამხ. ერდოვანის ფაბრკომის მუშაობის შესახებ) და მისი მუშაობა სცნეს დამაკმაყოფილებლათ, რისთვისაც მადლობა გადაუხადეს“ რას გაიგებდა მკითხველები აქედან თუ რაში მდგომარეობდა მუშაობა ფაბრკომის, რისთვისაც ის მადლობით დააჯილდოვეს? მკითხველებს ეს უკანასკნელი არ ესაჭიროება. მათ უფრო აინტერესებთ ის თუ როგორ იყო დაყენებული საქმე ფაბრკომში. ქვევით ჩვენ გვაქვს სია არჩეულების ფაბრკომში, სარევიზიო კომისიაში და სხვ. და ყოველივე ამას მოზრდილი ადგილი უჭირავს. რა საინტერესოა მკითხველებისათვის იმის ცოდნა, თუ ვინ აირჩიეს სარევიზიო კომისიაში? კორესპონდენციას უფრო ოქმის სახე აქვს, რომლის დაბეჭდვა გაზეთში საჭირო არ არის. ასეთი კორესპონდენციები შემთხვევითი არ არის. ამ კორესპონდენციას შევეხეთ ჩვენ იმიტომ რომ ეს ნაკლი გამოვასწოროთ.

როგორი უნდა იყოს კორესპონდენცია მუშკორისა?

მრავალი თემებია მის წინაშე: ბინის საკითხი, ეკონომიური მდგომარეობა, კულტურული მუშაობა და სხვ. აი ეს კითხვები უნდა იქნას გაშუქებული, ამით მკითხველებიც კარგათ გაეცნობიან მუშათა მდგომარეობას.

გაზეთის გავრცელება მუშებში და გლეხებში იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის მათ მოთხოვნილებას, რამდენად აძლევს ის პასუხს მათი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. ამიტომ, ცხადია, გაზეთის კარგათ დაყენება ნიშნავს მის მრავალათ გავრცელებას ფართე მასსებში. რა ზომები უნდა მივიღოთ, რომ პრესის საქმე გავაუმჯობესოთ? ამისათვის საჭიროა: 1) პარტიის და პრესისის შორის დავამყაროთ მტკიცე კავშირი და ყველა ამხანაგები დავაინტერესოთ ჩვენი ბეჭდვითი ორგანოების საქმით, 2) მივამაგროთ ჩვენს გაზეთებზე პასუხისმგებელი ამხანაგები საბჭოთა და პარტიულ ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან, მათში რეგულიარულათ თანამშრომლობისათვის, 3) ვაწარმოვოთ კორესპონდენტთა შორის ფართე მუშაობა, გავმართოთ მათი კრებები და საუბრები იმის შესახებ, თუ როგორ უკეთ უნდა დაიწეროს კორესპონდენციები და სხვ.

აი მთავარი ამოცანები, რომლებიც ესახება ჩვენ პრესის დარგში დღეს.

ქ. ორაგველიძე.

---

*) ვაქვეყნებთ რა ამხ. ორაგველიძის წერილს, ჩვენ მივმართავთ ამხანაგებს, გამოსთქვან თავიანთი აზრი ჩვენი პრესის, მისი ნაკლების და მათ გამოსასწორებლათ მისაღები ზომების შესახებ.

რედაქცია.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

სამხედრო გადატრიალება ესპანეთში

გენერალის დიქტატურა.

ლონდონი. 16 სექტემბერი. მადრიდიდან მიღებულ ცნობების თანახმად ესპანეთის ახალი დიქტატორი გენერალი პრიმა-დე რივერა ნახევარი საათის განმავლობაში ელაპარაკა ტელეფონით მეფეს და აცნობა, რომ მთელ ესპანეთში გამოცხადებულია საალყო წესები. მეფე დაეთანხმა სამხედრო კაბინეტის შედგენაზე.

გაფიცვა ბილბაოში.

ლონდონი. 16 სექტემბერი. ბილბაოში დაიწყო გაფიცვა, სოციალისტების ხელმძღვანელობით, რომელთაც გამოაქვეყნეს მოწოდება სამოქალაქო კაბინეტის ჩამოგდების და სამხედრო დიქტატურის დაწესების წინააღმდეგ.

სოციალისტური პარტიის აღმასკომის მოწოდება.

ბერლინი. 16 სექტემბერი. ესპანეთის სოციალისტურ პარტიის აღმასკომმა გამოუშვა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს მუშებს სამხედრო გადატრიალების და გენერალ პრიმა დე-რივერას სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ.

კაბინეტი—ესპანურად.

პარიზი. 16 სექტ. მადრიდში გამოქვეყნებულია დეკრეტი, რომლის თანახმად მინისტრების და მათი ამხანაგების თანამდებობა უქმდება. სამინისტროების მიმდინარე საქმეებს აწარმოებენ დანიშნული სპეციალური მოხელეები. მნიშვნელოვან და გადაუდებელ საქმეებს გადასწყვეტს თვით დე-რივერა ან ეს უკანასკნელი მოახსენებს მეფეს.

ყოფილი მინისტრის გაქცევა.

ბერლინი. 16 სექ. ესპანეთის გარეშე საქმეთა ყოფილი მინისტრი ალბა გაიქცა საფრანგეთში, გადავიდა რა საზღვარზე ბიარიცის მახლობლად.

დიქტატორ დე-რივერას ზრახვები.

ბერლინი. 16 სექ. დიქტატორ პრიმა დე რივერას განზრახული აქვს დასტოვოს ძალაუფლება სამხედრო დირექტორის ხელში და შესცვალოს იგი სამხედრო პირებისაგან შემდგარ კაბინეტით, მხოლოდ ისეთ შემთხვევაში თუ მოინახებიან ისეთი პირები, რომელნიც არ იქნებიან დამოკიდებულნი რომელიმე პარტიისაგან. პარლამენტის არჩევნები არ მოხდება მანამ, სანამ არსებული პოლიტიკური ორგანიზაციები არ იქნებიან ნაწილობრივ დათხოვნილი და ნაწილობრივ შეცვლილი, ეხლანდელი პარლამენტი გაშვებულია.

მაროკკოს ავანტიურა გრძელდება.

პარიზი. 16 სექტემბერი. მადრიდიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ჟურნალისტებთან საუბრის დროს გენერალმა პრიმა დე-რივერამ გააბათილა ხმები იმის შესახებ, თითქოს დირექტორიას განზრახული ჰქონდეს სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოება მაროკკოს მეამბოხეთა წინამძღოლთან აბელ-კერიმთან. ნამდვილად კი არმიას სურს აღადგინოს თავისი პრესტიჟი მაროკოელების თვალში. ახლად დანიშნულ გენერალ აიტსკს მინდობილი აქვს აწარმოოს სამხედრო ოპერაციები ესპანეთის გენერალურ შტაბის მიერ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით.

გერმანიის ამბები

ინგლისის მუშათა პარტიის ბელადის სიტყვა.

ლონდონი. 15 სექტემბერი. ნიუკესტლში წარმოთქმულ სიტყვაში ჰენდერსონმა აღნიშნა ძირითადი პრინციპები მუშათა პარტიისა საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ, მოკავშირეები სრულებით უნდა გამოვიდნენ გერმანიიდან და აღადგინონ გერმანიის სუვერენობა. სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად უნდა დაედოს 1919 წლის შეთანხმება, რომელიც დროებით ზავს წინ უძღოდა. გერმანიამ უნდა დაიჭიროს წინანდელი ადგილი დიდ სახელმწიფოთა შორის.

ჰენდერსონი აგრეთვე მოითხოვს საბჭოთა მთავრობის ცნობას. რუსეთი კვლავ მიღებულ უნდა იქნას ერთა წრეში—განაცხადა მან.

მარკის თავისუფალი კურსი.

ბერლინი. 15 სექტემბერი დოლარის თავისუფალი კურსი 125 მილ. მარკას უდრის.

მოწოდება გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან მთლიანი ფრონტისაკენ.

რეველი. 15 სექტემბერი. ესტონიის სახელმწიფო კრების კომუნისტურმა ფრაქციამ და მუშათა პარტიებმა გამოსცეს მოწოდება ესტონიის მშრომელთა მიმართ, რომელშიაც აღნიშნულია გერმანიის რევოლიუციის მოახლოვება და ინტერვენციის საფრთხე მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებისა და მათი ბალტიელ მოსამსახურეების მხრით. მოწოდება აღნიშნავს ბნელი რეაქციის გაძლიერების უდიდეს საშიშროებას გერმანიის რევოლიუციის დამარცხების შემთხვევაში და განდევნილ მემამულეების დაბრუნების საფრთხეს. მოწოდება წინადადებას აძლევს ყველა მუშებს, გლეხობას და მოსამსახურეებს შექმნან მთლიანი ფრონტი, გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთად.

არეულობა დამშეულთა შორის.

ბერლინი. 15 სექტემბერი. ბეიტენში პირველ საჭიროების საგანთა საშინელ გაძვირების ნიადაგზე სერიოზული არეულობა მოხდა. პოლიციამ არეულობის დროს მოკლა 3 დ დაჭრა ოთხი კაცი. დრეზდენიდან იუწყებიან უმუშევართა დემონსტრაციისა პოლიციას შორის მომხდარ შეტაკებების და დემონსტრანტების დაპატიმრების შესახებ.

ასეთივე დემონსტრაციებს ადგილი ჰქონდა იენაშიც.

ბაზელის ბირჟაზე მარკა არ გადის.

ბერლინი. 15 სექტემბერი. დოლარი ოფიციალურათ ღირს 92,400,000 მარკა. მარკის კურსის აწევას ხსნიან მით, რომ რეიხსბანკმა გამოუშვა ბაზარზე ვალიუტა და გავრცელდა ხმები გერმანიის მთავრობის მიერ რურის კრედიტების შემცირების შესახებ. შვეიცარიაში ბაზელის ბირჟა არ ღებულობს გერმანულ მარკას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მან დაჰკარგა ყოველგვარი ღირებულება.

მღელვარება სიძვირის ნიადაგზე.

ბერლინი. 15 სექტემბერი. სიძვირის გამო გერმანიაში ადგილი აქვს მღელვარებას, რომელიც თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. დრეზდენში უმუშევართა დემონსტრაციის და პოლიციის შეტაკების დროს დანგრეულია რამოდენიმე სავაჭრო; მოკლულია სამი, დაჭრილია ერთი. ნახშირის მრავალ წარმოებებში ბეიტენში მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. ლეიპციგში ადგილი აქვს ბანკის მოსამსახურეთა ნაწილობრივ გაფიცვას. აუგსბურგის ფეიქართა რეფერენდუმი, მიუხედავად რეფორმისტულ პროფკავშირთა წინააღმდეგობისა, მიემხრო გაფიცვას, რომელიც უკვე დაიწყო ზოგიერთ საფეიქრო ფაბრიკებში. რეინის ოლქში დიდი მღელვარებაა რკინის გზელებში, რომელნიც იმუქრებიან გაფიცვით, თუ მთავრობა უარჰყოფს ულტიმატუმს სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

იტალიაში

იტალია ხელს იშვერს ფიუმესაკენ.

ვენა. 15 სექტემბერი. „რეიხსპოსტ“-ის ტრიესტელ კორესპონდენტის ცნობით, იმ შემთხვევაში, თუ ფიუმეს საკითხი არ იქნება გადაჭრილი 15 სექტემბრისათვის, იტალიის მთავრობა ოფიციალურად შევა ფიუმეში. გადმოგვცემენ, რომ იტალიას ფარული შეთანხმება აქვს საფრანგეთთან. იტალიის წრეებში ფიქრობენ, რომ სამხრეთ-სლავია, რომელიც გართულია შინაურ საქმეებში, დათანხმდება საკითხის ასეთ გადაჭრაზე.

იტალია თავს იმართლებს.

ვენა. 15 სექტემბერი. რომის პრესა აბათილებს „ნოიე ფრეიე პრესსის“ ცნობებს იმის შესახებ, რომ თითქოს იტალია არ დასცლის კორფუს სათანადო დაკმაყოფილების მიღებამდე და აცხადებს, რომ იტალიას არ შეუძლია დაეთანხმოს ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებას, თუ ოფიციალური ცნობა არ იქნება ამ დადგენილების შესახებ.

საბერძნეთში

ფალერონის ცერემონიის მზადება.

ლონდონი. 17 სექტემბერი. ათენიდან იუწყებიან, რომ 500 საბერძნეთის მეზღვაური ამზადებენ ნავთსადგურში სამხედრო გემებს ფალერონის ცერემონიისათვის. საბერძნეთის ფლოტი ოთხშაბათს ფალერონთან გაჩერდება და საკავშირო გემების მოსვლას დაუცდის. საკავშირო ესკადრაში შევა სამი იტალიის, ორი საფრანგეთის და ორი ინგლისის გემი. საბერძნეთის ფლოტის უკან მოთავსებული იქნება გემები მაყურებელ საზოგადოებისთვის.

საბერძნეთის მთავრობის ბოდიშის მოხდა.

ლონდონი. 17 სექტ. „დეილი-მეილ“-ის ცნობით საბერძნეთის მთავრობის სამზადისი ელჩთა კონფერენციის მოთხოვნილებების შესასრულებლათ დამთავრდა. სამშაბათს დილით საბერძნეთის სამხედრო მინისტრი ინახულებს მოკავშირეთა წარმომადგენლებს და გამოსთქვამს საბერძნეთის მთავრობის სახელით მწუხარებას იტალიელ ოფიცერთა მოკვლის გამო. პირველ ვიზიტს სამხედრო მინისტრი გაუკეთებს იტალიის წარმომადგენელს, შემდეგ კი ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს ესტუმრება. საბერძნეთის ნავსადგურზე გაგზავნილია ქვეითა ჯარის ორი გუნდი მოკლულ ოფიცრების ცხედრებისათვის პატივისცემის აღსანიშნავთ და იტალიის გემზე მათი გასვენების დროს თანხლებისათვის.

ელჩთა კონფერენცია

ელჩთა კონფერენცია.

ბერლინი. 14 სექტემბერი პარიზიდან მიღებულ ცნობით ელჩთა კონფერენცია პარასკევს კორფუს ევაკუაციის საკითხს არჩევდა. დადგენილება საიდუმლოთ არის დაცული. ამბობენ, რომ **მუსოლინის წინადადებები მიღებულია კონფერენციის მიერ.** თანახმად ამ წინადადებებისა ელჩთა კონფერენციამ დაადგინა, რომ იტალია გასწმენდს კორფუს 27 სექტემბერს, უკეთუ გამომძიებელ კომისიის მუშაობა დამთავრებული იქნება ამ დღისთვის. იმ შემთხვევაში კი თუ საბერძნეთის მთავრობის უნიათობის გამო იანინში ჩადენილ მკვლელობის დამნაშავენი დაჭერილი არ იქნება, **საბერძნეთი გადაიხდის ჯარიმათ 50 მილიონ ლირას. ოკუპაციის ხარჯების ანაზღაურება ყოველ შემთხვევაში საბერძნეთის მთავრობას ევალება.** ელჩთა კონფერენციის დადგენილება აღნუსხული იქნება სათანადო ნოტაში, რომლის ასლი გაეგზავნება ცნობისათვის ერთა ლიგას.

მოკავშირეთა პოზიცია

ელჩთა კონფერენციის დადგენილება.

ვენა. 15 სექტემბერი. ელჩთა კონფერენციის დადგენილების თანახმად, **იტალიამ უნდა დასცალოს კორფუ 27 სექტემბრისათვის.** იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიამ სცნო, რომ საბერძნეთის მხრივ საკმაოდ სწრაფად ვერ სწარმოებს გამოძიება მკვლელობის შესახებ, იტალია მიიღებს 50 მილ. ლირას, წინააღმდეგ შემთხვევაში ანაზღაურების თანხას დააწესებს ჰააგის ტრიბუნალი.

კიდევ ერთი ვარიანტი.

პარიზი. 14 სექტემბერი. ელჩთა კონფერენციის სხდომაზე იტალია დაჟინებით მოითხოვდა კორფუს ევაკუაციას იმ შემთხვევაში, თუ **საბერძნეთის მთავრობა დააკმაყოფილებდა ყველა მის მოთხოვნილებებს დამნაშავეთა დასჯითურთ.** ინგლისი მოითხოვდა ევაკუაციას ახლო მომავალში. იტალიის ელჩმა მიმართა თავის მთავრობას ინსტრუქციებისათვის.

ინგლისის აზრი.

ვენა. 15 სექტემბერი. კორფუს დაკავება იტალიამ და სამხრეთ-სლავიამ სცადეს გამოეყენებიათ დიდი სახელმწიფოების თავთავის მხარეზე გადასაბირებლათ. მუსოლინი ფიქრობს, რომ კორფუსათვის ინგლისი თანახმა იქნება დაუთმოს იტალიას ფიუმე და იმედი აქვს, რომ მომავალში იტალია შესძლებს აგრეთვე კორფუს შენარჩუნებასაც. საფრანგეთმა აღუთქვა სამხრეთ-სლავიას შუამავლობა და დაჰპირდა სესხის გადახდა 300 მილ. ფრანკის რაოდენობით, არმიის შეიარაღებისა და რეორგანიზაციისათვის. სამხრეთ-სლავიას განზრახული აქვს დაჟინებით მოითხოვოს იტალიისაგან რაპალოს ხელშეკრულების შესრულება. იტალია რაპალოს ხელშეკრულების ძალითვე პროტესტს განაცხადებს მესამე სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ.

ფიუმეს საკითხი

სამხრეთ-სლავიის საკითხი.

სამხრეთ-სლავიის პასუხი.

რომი. 15 სექტემბერი. გუშინ საღამოს ბელგრადიდან ჩამოვიდა სამხრეთ-სლავიის წარმომადგენელი რომში, რომელმაც ჩამოიტანა თავისი მთავრობის პასუხი იტალიის ულტიმატუმზე.

იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ გუშინდელი დღე, იყო დღე დათმობისა, როგორც ფიუმეს ისე საბერძნეთ იტალიის კონფლიქტში. **მუსოლინიმ დასტოვა თავისი შეურიგებელი პოზიცია.**

სამხედრო გადატრიალების მიზეზი ესპანეთში

პარიზი. 13 სექტემბერი. აჯანყების **მთავარი მიზეზი იყო მაროკკოში რამდენიმე წლის ომი, რომელსაც განსაკუთრებით მოითხოვდენ ესპანეთის ბურჟუაზიული და სამრეწველო წრეები. ამ წრეებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ მაროკკოს ბუნებრივი სიმდიდრენი. ესპანეთის ჯარებმა** შეხვდენ მაროკკოში სასტიკ წინააღმდეგობას. **ომმა დაამტკიცა ესპანეთის არმიის სრული დაშლა. მაროკკოს ავანტიურამ გავლენა იქონია ესპანეთის საგარეო მდგომარეობაზე.** ოპოზიციონური პარტიები მოითხოვდენ სამხედრო დამარცხების დამნაშავეთა მონახვას. დანიშნული იყო საპარლამენტო საგამომძიებლო კომისია.

ესპანეთის არმიის მთავარსარდალი მაროკკოში, გენერალი ბერენგერის, რომელსაც სთვლიდენ დამარცხების მთავარ მიზეზად, გამოძახებულ იქნა მთავრობის მიერ ოფიცერთა კავშირის ზეგავლენით.

კონსერვატიული კაბინეტის ნაცვლად შედგენილმა [illegible] ლიბერალურმა მთავრობამ მხარი დაუჭირა შეტევის გაგრძელებას, მაგრამ ჯარებს არ სურდათ მაროკკოში შესვლა. მალაგაში და სევილიაში იფეთქა ჯარისკაცების აჯანყებამ. მოძრაობის მეთაურს უნტერ-ოფიცერ ბაროხოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მაგრამ საზოგადოებრივ აზრის ზეგავლენით განაჩენი არ მოიყვანეს სისრულეში. არმიაში ოფიცერთა შორისაც კი იზრდებოდა მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილება. მაგრამ უკანასკნელმა გადატრიალების წინ დაიწყო შეტევა მთელ მაროკკოს ფრონტზე.

იფეთქა აჯანყებამ. მას მეთაურობდა ბარსელონას გუბერნატორი გენერალი პრიმო-დე-რივერა, რომელმაც სახელი გაითქვა მუშათა მოძრაობის სასტიკი ჩაგვრით.

ერთა ლიგაში.

ბერლინი. 15 სექტემბერი. ბენეში (ჩეხო-სლოვაკიის დეპუტატის) ერთა ლიგის საბჭოს დეპუტატთა არჩევისთანავე, მცირე ანტანტას შეაქვს ლიგის საბჭოში გასარჩევათ ფიუმეს საკითხი.

მუსოლინს არ სურს შვეიცარიის ჩარევა.

ბერლინი. 15 სექტემბერი. პოლიტიკურ წრეებში მიღებულ ცნობების თანახმად, ერთა ლიგის საბჭოში ბენეშის არჩევის შემდეგ, მას განზრახული აქვს წინადადება მისცეს ლიგის საბჭოს განიხილოს საკითხი ფიუმეს შესახებ. გავრცელებულ ხმების თანახმად, მუსოლინმა მიმართა შვეიცარიას წინადადებით, რათა უკანასკნელი არ ჩაერიოს კონფლიქტში იტალია-შვეიცარიის ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად.

რურის ოლქში.

ოკუპაციის მსხვერპლნი.

ბერლინი. 15 სექტემბერი მთელ რიგ მაღაროებში, რომლებიც საფრანგეთის ინჟენერთა კომისიის გამგებლობაში გადავიდა, სერიოზულ კატასტროფებს ჰქონდა ადგილი. **11 და 12 სექტემბერს რაუქსელის ორ მაღაროში აფეთქება მოხდა; დაზიანდა 52 მუშა, მათ შორის 41 მოკლულია.** მეორე მაღაროში მუშების ჩაშვების დროს გაწყდა თოკი; სასიკვდილოთ დაშავდა 4 მუშა. გაზეთები აცხადებენ, რომ მუშები **საფრანგეთის ადმინისტრაციის უმოქმედობისა და უნიათობის მსხვერპლი შეიქნენ.**

საოკუპაციო სტატისტიკა.

ბერლინი. 15 სექტემბერი. ოფიციალური სტატისტიკა რურში და რეინლანდში ოკუპანტების ბატონობის შესახებ აღნუსხავს, რომ აგვისტოს ბოლომდე იქ გამოტანილი იყო სიკვდილით დასჯის 10 განაჩენი, გამოტანილია განაჩენები დაპატიმრების შესახებ საერთო რაცხვით 1500 წლის; ფულის ჯარიმა დანიშნული იყო 1.652 მილიარდი მარკის რაოდენობით; აკრძალული იყო 173 გაზეთი; დაკეტილი იყო 209 სკოლა, რომელშიაც სწავლობს 127,600 ბავშვი.

ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ იანვრიდან აგვისტომდე გადატანილი იყო მხოლოდ 11 ნახევარი მილიონი ტონა სათბობი მასალა. 1922 წელში კი იმავე ვადაში ამოღებული იყო 23 და ერთი მესამედი მილიონი ტონა.

ახალი კომუნისტური გაზეთი რურში.

ბერლინი .14 სექტემბერი. საფრანგეთის ხელისუფლების მიერ ყველა კომუნისტურ გაზეთების აკრძალვის შემდეგ, **რურის ოლქში დაარსდა კომუნისტების ახალი ორგანო „რურიშე როტე ფანე“.** პირველ ნომერში მოთავსებულია რურის ოლქის კომპარტიის მოწოდება საფრანგეთის და გერმანულ კაპიტალის გაერთიანების წინააღმდეგ. მომართვა მოუწოდებს პროლეტარიატის რაზმების ორგანიზაციისაკენ. საფრანგეთის ჯარისკაცებმა შეკრიბეს გაზეთის სასარგებლოთ მილიონიანი ფონდი

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთის პრესა შტრეზემანის სიტყვის შესახებ.

პარიზი 15 სექტ. შტრეზემანის სიტყვაში საფრანგეთის პრესა ამჩნევს გერმანიის მთავრობის სურვილს საფრანგეთთან დაახლოვებისათვის; მემარჯვენე პრესა ფიქრობს, რომ შტრეზემანის წინადადება შეიცავს რეალურ ინტერესს. **ზოგიერთი წრების** მტკიცებით, **შტრეზემანმა პირადი წერილით მიმართა პუანკარეს რომელშიაც აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ჟიუტობის შემთხვევაში ის იძულებული იქნება გადადგეს.** გერმანიის რესპუბლიკას დანგრევის საფრთხე, შტრეზემანის სიტყვით, განსაკუთრებით საშიშია შეთანხმების გამო გერმანიის ნაციონალისტებსა და კომუნისტებს შორის.

„მატენი“ თავის შენიშვნაში აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობა დათანხმდება შესცვალოს კონტროლის სისტემა რურის ოლქში და **გაანთავისუფლოს დაკავებული ტერიტორია, თუ გერმანია გადაიხდის ვალდებულებებს.**

გერმანიის ხელისუფლება ქედს იხრის მძარცველების წინაშე.

პარიზი 15 სექ. საფრანგეთის ოფიც. რადიო აღნიშნავს, რომ **გერმანიის ხელისუფლების მოქმედება მოკავშირეებისადმი თანდათან უფრო თავაზიანი ხდება. ქალაქი დორტმუნდი თანახმაა გადაიხადოს 800 მილიარდი მარკა საოკუპაციო არმიის საჭიროებისათვის.** რურის მაღაროებში ნახშირის ამოღება ძლიერდება.

გერმანიის მთავრობის პოლიტიკის შეცვლა.

პარიზი 15 სექტ. საფრანგეთის პრესა ამჩნევს გერმანიის მთავრობის პოლიტიკის შეცვლას რურის საკითხში. „ენტრანსიჟან“-ი აღნიშნავს, რომ შტრეზემანის სიტყვა ძლიერ საინტერესოა „მორალური ევოლუციის“ თვალსაზრისით; ამავე დროს, გაზეთის აზრით, **საფრანგეთს არ შეუძლია უარის თქმა დადებით გირაოებზე.**

მრავალი დაბრკოლებანი.

ლონდონი 15 სექტემბერი. ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების შესახებ გავრცელებული ხმების გამო ლონდონის ბირჟაზე საგრძნობლად აიწია კონტინენტალური ვალიუტის კურსმა. მაგრამ უკანასკნელ დღეებში კვლავ ადგილი აქვს კურსის დაცემას.

სიტში აღნიშნავენ, რომ საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების არსებულ მსვლელობის დროს კიდევ **შეუძლებელია ლაპარაკი ევროპის ეხლანდელი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.** ლონდონის საქმიან წრეებში უნდობლობით უცქერიან შტრეზემანის ახალ გეგმებს და აღნიშნავენ, რომ **გერმანიის მთავრობის ზომებს კერძო პირების ხელში არსებული ვალიუტის კონფისკაციის შესახებ, არ აქვთ არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა.**

საერთო აზრით, საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებას კიდევ მრავალი დაბრკოლებები ელობებიან წინ.

შერიგების სამზადისი.

პარიზი 15 სექტ. ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის ხელისუფლების მოქცევა მოკავშირეებთან დღითი დღე უფრო თავაზიანი ხდება. **დორტმუნდის მუნიციპალიტეტი დათანხმდა საოკუპაციო ჯარების საჭიროებისათვის 800 მილიარდი მარკის გადახდაზე, როგორც ეს მოთხოვნილი იყო ხუთშაბათს.**

მიწისძვრა იაპონიაში

პოლიტიკური შურისძიება მთავრობის მტრებზე.

ჩიტა. 16 სექტემბერი. **იაპონიის სოციალისტების ბელადი საკაი, რომელიც მიწისძვრის დროს იჯდა ციხეში და შემდეგ კი კვლავ იქნა დაპატიმრებული, მოჰკლეს, რაც ატარებს პოლიტიკური შურისძიების ხასიათს.**

ეარშიყებიან ინგლისს.

ჩიტა. 16 სექტემბერი. პრესის ცნობის მიხედვით, სწარმოებს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავოს იტალიის ელჩმა ინგლისში ხაიაშიმ, ცნობილმა ანგლოფილმა, ინგლის-იაპონიის ხელშეკრულების (1902 წ.) ავტორის შვილმა. ფიქრობენ ამ დანიშვნის მიზანია სესხის აღება ინგლისის მონაწილეობით

60,000 გვამი სამი დღის განმავლობაში.

პეკინი. 15 სექტემბერი. **ტოკიოში ვრცელდება ეპიდემია, იზრდება ფასები. უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში დასწვეს 60,000 გვამი.** ტოკიო რჩება სატახტო ქალაქათ.

პეკინი. 15 სექტემბერი. საიმპერატორო რესკრიპტში ნათქვამია, რომ იაპონიის სატახტო ქალაქად დარჩება ტოკიო.

ს. ს. რ. კ. დახმარება

მოსკოვი 15 სექტემბერი. იაპონიის მიწისძვრისაგან დაზარალებულ მუშების სასარგებლოთ ყაზანის საქონლის ბირჟის კომიტეტმა შესწირა 150,000 მანეთი. ტაშკენტში, ბაქოში, პერმში, ტფილისში და სხვა ქალაქებში, წარმოებებში, და წითელ არმიელთა ნაწილებში სწარმოებს შემოწირულებათა გადარიცხვა.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

შვეცია-რუსეთის ხელშეკრულება მზადდება.

სტოკჰოლმი. 13 სექტემბერი. იმის გამო, რომ ფინეთმა წამოაყენა საკითხი შვეციასთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ თავდაცვითი კავშირის მოწყობის შესახებ, „სოციალ-დემოკრატენი“ შენიშნავს, რომ შვეციის საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად უცქერის ფინეთთან სამხედრო კავშირის იდეას. **გაზეთის აზრით, ამის ნაცვლად, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა რუსეთთან თანამშრომლობის პოლიტიკის წარმოება და შვეცია რუსეთის ხელშეკრულების დაჩქარება.**

დე-მონზის განცხადება.

პარიზი. 14 სექტემბერი. გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს, დე-მონზი ალტაცებას გამოსთქვამდა რუსეთის რევოლიუციის ბელადების მოქმედების გამო და განაცხადა, რომ საფრანგეთისათვის აუცილებლად საჭიროა ურთიერთობა აღადგინოს საბჭოთა რუსეთთან.

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. რუსეთ აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის თაობირზე სპარსეთის მეჯლისის წევრმა არბაბ კეიხოსროვმა გამოსთქვა სურვილი მისცეს სასურსათო სინდიკატს შეკვეთა ელიქტრონის და ქაღალდის მრეწველობისათვის და, აგრეთვე, საქმიანი კავშირი გააბას საფეიქრო სინდიკატთან.

შორეული აღმოსავლეთი

ჩინეთი

პრეზიდენტის არჩევნების ჩაშლა.

პეკინი. 14 სექტემბერი. პარლამენტის სხდომაზე, პრეზიდენტის არჩევნების დროს, დიდი არეულობა მოხდა. პრეზიდენტი ვერ აირჩიეს. მთავრობა შეფიქრიანებულია იმით, რომ შანხაიში ჩამოსულ ჩინეთის ფორმალურ პრეზიდენტს ლი იუანიუნზს შეუძლიან შეადგინოს ახალი მთავრობა. პარლამენტის ბევრმა წევრებმა შანხაიში მოიყარეს თავი და პროკლამაცია გამოსცეს, რომელშიაც აცხადებენ, რომ პეკინში დარჩენილი პარლამენტის წევრები კანონიერ წევრებად ვერ ჩაითვლებიან. პეკინში, ალბად, კვლავ შეეცდებიან ახალი არჩევნების მოხდენას და პრეზიდენტად ძაო კუნის არჩევას

ჩინეთის კომპარტიის მოწოდება.

ბერლინი. 15 სექტემბერი. **ჩინეთის კომპარტიამ გამოსცა მოწოდება მტკიცე მთავრობის შექმნის მიზნით სავაჭრო პალატების, პროფკავშირთა და სტუდენტების მოწვევის შესახებ. მოწოდება ახასიათებს იაპონიას და შეერთებულ შტატებს, როგორც იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და აცხადებს, რომ სამხრეთის იმპერიალისტები ჩრდილოეთის იმპერიალისტებზე უკეთესი არაა.**

მიწისძვრა.

ლონდონი. 16 სექტემბერი. **პეკინიდან იტყობინებიან, რომ ძიანძინის ჩრდილოეთით მოხდა მიწისძვრა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ.**

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი

უფლებათა დაცვის კომიტეტი.

ანგორა. 15 სექტემბერი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ „უფლებათა დაცვის პარტიის“ თავმჯდომარეთ არჩეულია ქემალი, ხოლო ოსმ. დიდი ეროვნული კრების „უფლებათა დაცვის“ ფრაქციის თავმჯდომარეთ—ფეტხი-ბეი.

სტამბოლის მუშათა გაფიცვა გრძელდება.

ანგორა. 15 სექტემბერი. გაზეთების რედაქტორებთან უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, **სტამბოლის ასოთ-ამწყობთა გაფიცვა გრძელდება. გაფიცულები უშვებენ თავიანთ გაზეთს.**

აიდინის რკინისგზელთა გაფიცვის ლიკვიდაცია.

ანგორა 16 სექტემბერი. დასრულდა აიდინის 3.000 რკინისგზელის ეკონომიური გაფიცვა. (აიდინის რკინისგზა არის ინგლისის-მწარმოებელთა ხელში): მუშების მოთხოვნილებათა უმრავლესობა დაკმაყოფილებულ იქნა ოსმალეთის მთავრობის დახმარებით.

ოსმალეთის სავაჭრო ბანკი.

ანგორა. 16 სექტემბერი. ეკონომიის კომისარიატმა და ოსმ. დიდი ეროვნული კრების ეკონომიურმა კომისიამ დაამტკიცეს ოსმალეთის სავაჭრო ბანკის მოწყობის პროექტი, ბანკს ექნება 4 მილ. ლირ. თანხა.

სხვადასხვა

სპარსეთი

საკითხი სამხედრო ექსპედიციის შესახებ არაბისტში.

თეირანი. 13 სექტემბერი. სპარსეთის სამხედრო მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი და გენერალიტეტის წევრები უეცრათ გაემგზავრენ სამხრეთ სპარსეთში, სადაც, ხმების მიხედვით, გადაიჭრება საკითხი არაბისტში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნის შესახებ.

შვეიცარია.

კონრადის გასამართლება.

ბერლინი. 15 სექტემბერი. ლოზანაში მოხდა ნაფიც მსაჯულთა არჩევნები ვოროვსკის მკვლელის—კონრადის გასასამართლებლად. არჩეულია 31 კაცი, რომელთა შორის არიან არქიტექტორები, კომერსანტები გლეხები, მუშები, მოსამსახურეები და მოხელეები. **საქმის გარჩევა დაიწყება 5 ნოემბერს.**

ალბანეთი.

ალბანეთის მოთხოვნილება.

ლონდონი. 17 სექტემბერი. მიღებულ ცნობით, ალბანეთის მთავრობამ მიმართა საბერძნეთის მთავრობას ნოტით, რომელშიაც მოითხოვს იტალიის სამხედრო მისიის თავმჯდომარესთან დანიშნულ ალბანელ თარჯიმანის მკვლელის დასჯას. ალბანეთის მთავრობა მოითხოვს აგრეთვე მოკლულის ნათესავთა დაკმაყოფილებას ფულის თანხით, რომელიც განსაზღვრული იქნება ალბანეთის მთავრობის მიერ. ნოტის საპასუხოთ საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ყოველგვარ ზომას მიიღებს დამნაშავე პირთა დასჯისათვის და პრინციპიალურათ თანახმაა დააკმაყოფილოს მოკლულ თარჯიმნის ნათესავები.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ბულგარეთი.

შრომის ფედერაციის პროექტი.

ვენა. 14 სექტ. ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა სამმართველომ მიჰმართა გაერთიანებულ კავშირში შეუსვლელ პროფორგანიზაციებს, შექმნან ერთიანი შრომის ფედერაცია, პარტიულობის განურჩევლად.

მოწოდება წინადადებას აძლევს პროფკავშირთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების ცენტრს, აირჩიოს წარმომადგენლები, შრომის მომავალი ფედერაციის ფორმის გამოსარკვევად და საერთო სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლად.

„[illegible] მოწოდების“ კონფისკაცია.

ვენა. 14 სექტ. კონფისკაცია უყვეს ბულგარეთის გაზეთ „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ“-ის იმ ნომერს, რომელშიაც მოთავსებული იყო ბალკანეთის სახელმწიფოთა მიმართ ბულგარეთის კომუნისტური ფედერაციის მოწოდება შრომის ფედერაციის დაარსების შესახებ.

ბულგარეთის პროფკავშირთა გაზეთი.

ვენა. 14 სექტ. ბულგარეთის პროფკავშირთა გაერთიანებულმა ცენტრმა გამოსცა პირველი ნომერი ყოველკვირეული ორგანოსი „ტრუდ“-ი.

ნორვეგია.

მუშებმა თავისი გაიტანეს.

ქრისტიანია. 14 სექტ. **ნორვეგიის ქაღალდის მრეწველ ბაზში ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, შეთანხმება მოხდა მწარმოებლებთან. მუშებს მოუმატეს ხელფასი 50 პროც.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

მისალმება საქ. კომპარტიის ცეკას.

წალკის რაიონის ყოფილ ესერების კონფერენცია, რომელიც შესდგა 9 სექტემბერს, ესალმება საბჭოთა ხელისუფლებას და კომპარტიას, რომელიც იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ჩვენ მოსკოველ ესერების მაგალითისამებრ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ გამოვდივართ ესერების პარტიიდან და მზად ვართ დავრჩეთ კომპარტიასთან ერთად მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებამდე.

პრეზიდიუმი

ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას, ახალი კომპარტიის ცეკას.

წალკის რაიონის მშრომელი ახალგაზრდობა მთელ მსოფლიოს ახალგაზრდობასთან ერთად დღესასწაულობს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს.

საზეიმო მიტინგზე შეკრებილნი ვუხსნით ძეგლს ახალგაზრდობის მსოფლიო ბელადს, ჩვენს საყვარელ **კარლ ლიბკნეხტს.**

წალკის რევოლიუციონური ახალგაზრდობა უგზავნის მთელი მსოფლიოს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას, ტფილისის რევოლიუციონურ ახალგაზრდობას, პარტიის და ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას და საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას თავის ძმურ მხურვალე სალამს.

გაუმარჯოს კომინტერნს! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

აზერბეიჯანი

ბაქოს ტრამვაი.

ბაქო. 15 სექტემბერი. ტრამვაის პარკს აგება სწრაფის ნაბიჯით მიდის. სწარმოების მუშაობა ბეტონზე. საცხოვრებელი სახლი უკვე დამთავრებულია. ასფალტის სახურავს უკეთებენ და შიგნითა მუშაობას აწარმოებენ. სამმართველოს ზემო სართულში კოჭები უკვე დაიწყეს და ახლა ასფალტით გადაფისვენ იატაკებს. სადურგლო მუშაობას აწარმოებს სახელმწიფო წარმოების სახელოსნო № 1 ქვა-სადგურების ქვითკირის სამუშაო ოქტომბრის 1-სათვის მოთავდება. № 2 ქვა-სადგურის კედლები ნახევარზე უკვე ამოყვანილია.

სიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტეტი.

ბაქო. 15 სექტემბერი. სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ ცენტრალ კომიტეტის სალაროში აგვისტოს 1-დან სექტემბრის 15-დე შემოვიდა სულ 55 მილიონი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით. კომიტეტის ხარჯზე ინახებოდა სექტემბრის 15-დე 140 ლტოლვილი. ხსენებული დროის განმავლობაში სამშობლოში დაუბრუნებიათ 115 ლტოლვილი. გამგზავრების დროს ლტოლვილებს დახმარება ეძლეოდათ.

სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის 6-ე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

ამხ. მიხა ცხაკაია ესალმება 6-ე ყრილობას კომპარტიის სახელით. „თქვენი ახალგაზრდა კომინტერნი“, სთქვა ამხ. ცხაკაიამ, იმყოფება უფროს 3-ე კომინტერნის მძლავრ ფრთების ქვეშ.

„ბურჟუაზიის უკანასკნელი საყრდენობი ფაშიზმი სასიკვდილოთ არის განწირული. ერთად-ერთი, რაზედაც შეუძლია დაეყრდნოს კაპიტალს—ეს არის აფრიკის უღრან ტყეების ველური და ბნელი ხალხი“.

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობის კომკავშირის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ჩაბა. 5 წლის მედგარი ბრძოლის შემდეგ ჩვენ განვმტკიცდით და ჩამოვყალიბდით, 5 წლის განმავლობაში ჩვენ განვიცადეთ უფრო მეტი, ვიდრე სხვა ორგანიზაციებმა 10 წლის განმავლობაშიო, სთქვა მან.

საჭიროა, რათა ახალგაზრდათა კომკავშირი სუნთქავდეს კომუნიზმის ჰაერით,—აი ჩვენი ამოცანა.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მამია ორახელაშვილი.

„გერმანიის პროლეტარიატი ამბობს მომხსენებელი, ისეთსავე მუხრუჭებში მოექცა, როგორშიაც რუსეთის მუშა 1917 წელს.

გერმანიის და საფრანგეთის მთავრობები უთანხმდებიან ერთმანეთს, თუ როგორ სძარცვონ პროლეტარიატი. ამჟამად მდგომარეობა ისეთია, რომ გერმანიის მუშები უნდა განთავისუფლდენ ოქტომბრის რევოლიუციის მოხდენით გერმანიაში. კომპარტია დღეს სათავეში დაუდგა მუშათა მოძრაობას. რადგან ისტორია გადაჭრით აყენებს კითხვას: ან ძარცვა-გლეჯა — ან პროლეტარიატის დიქტატურა. ბურჟუაზია სდგას სასიკვდილო საფრთხის წინაშე, იგი ემხადება, მაგრამ არც მუშათა კლასია გულხელდაკრეფილი“.

ყრილობა იღებს წინადადებას გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები გერმანიის კომპარტიის ცეკას, ამხ. ლენინს და სრ. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას.

მოხსენებას საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას 15 თვის მოღვაწეობის შესახებ აკეთებს ამხ. დევდარიანი.

ჩვენ შევსძელით ახალგაზრდობის წარმოებებში განწესრიგების გატარება და მისი ეკონომიური უფლებების დაცვა. განწესრიგება, რომელიც იქნა აქ გატარებული, სჯარბობს რუსეთისას.

საქართველოს ახალგაზრდობის 79 პროც. ჩვენს რიგებშია. ჩვენი პოზიციების გამაგრების შემდეგ, ჩვენ გადავედით სოფლებში.

ჩვენი სასწავლებლები, კონტრევოლიუციონურ ხასიათს ატარებდენ როდესაც კომუნისტი გამოდიოდა მიტინგებზე, მას ხვდებოდენ ფშტვენით. ეხლა კი ჩვენ შევსძელით სასწავლებლებში მდგომარეობის განმტკიცება და მუშაობის წარმოება მოსწავლე ახალგაზრდებს შორის. ჩვენ შევიხეთ კონტრევოლიუციონურ ორგანიზაციას „შევარდენს“ და გადავახალისეთ ის.

ამჟამად ანტიკომუნისტური, კერძოთ, ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციები თვითვე იშლებიან. ამას ნაწილობრივ ხელს უწყობს მენშევიკური პარტიის დაშლა — [illegible] პროპაგანდა წარმატებით მიმდინარეობს. ამჟამად არ არის ლაპარაკი ახალგაზრდობის კომკავშირის შობის და აღდგომის წარმატებით ჩატარებაზე, ეს ყველასათვის თვალსაჩინოა.

წითელი არმიის შენებაშიაც ჩვენ ვღებულობთ აქტიურ მონაწილეობას. ჩვენს წითელ არმიაში უმეტეს პროცენტს შეადგენენ ახალგაზრდობის კომკავშირის წევრები.

ფლოტზე ჩვენ მივიღეთ შეფობა და გაუწიეთ მას დახმარება, შევაგროვეთ 12,515 მან. ოქროთი. მატერიალური შემოწირულება შეგროვებულია 4 000 მ. ოქროს მანეთამდე.

აპარატის გამარტივების გატარების შემდეგ ჩვენ გავანაწილეთ პოლიტიკური პასუხისმგებელი მუშაკები ადგილებზე. დასავლეთ საქართველო უფრო ძლიერი აღმოჩნდა. იქ ჩვენ მოვაგროვეთ ძალები უფრო სუსტ ადგილებში გადასაგზავნათ.

ა. წ. აგვისტოდან ჩვენი კავშირი იზრდება და ჩვენ ამჟამათ 46 პრ. ახალი წევრი გვყავს. ჩვენ დავაყენეთ საკითხი კავშირის ზრდის მოწესრიგების შესახებ, რადგან კავშირში შემოვიდა ისეთი ელემენტი, რომელსაც ჩვენ შორის ადგილი არ უნდა ჰქონებოდა.

ჩვენი კავშირის სოციალური შემადგენლობა შემდეგია:

მუშები — — 19,8 პროც.
გლეხები — — 56 პროც.
მოწაფეები — 15 პროც.
მოსამსახურეები 7 პროც.
ხელოსნები — 2 პროც.

საქართველოს მუშურ ახალგაზრდობის 70 პროც. ჩვენს რიგებში დგას.

ჩვენი კავშირი ავტორიტეტი სოფლათ უზრუნველყოფილია. სოფლის ახალგაზრდობას ემჩნევა ლტოლვა ჩვენი კავშირისაკენ. ჩვენი უჯრედები იქ წარმოადგენენ ერთად ერთ კულტურულ კერას. ურთიერთობა პარტიასთან უფრო მჭიდრო ხდება. ჩვენ მოგვიხდა დიდი ყურადღების მიქცევა მუშათა რაიონებზე.

ჩვენი ორგანიზაციის 5,6 პროც. ქალები შეადგენენ. ეს რიცხვი მცირეა, საჭიროა ამ დარგში მუშაობის გაძლიერება. პოლიტიკურ მოუმზადებლობის ლიკვიდაცია წინ მიდის. ამჟამათ არსებობს 520 პოლიტიკური წრე, რომლებშიც მეცადინეობს 9700 ახალგაზრდა, და 27 მარქსისტული წრე, სადაც ირიცხება 350 წევრი. მუშური შემადგენლობის გაფართოება აქტიურათ სწარმოებს.

უპარტიო ახალგაზრდობის წრეებში მუშაობა ინტენსიურათ სწარმოებდა, ახალგაზრდობა ხალისით ესწრებოდა უჯრედების ღია სხდომებს უჯრედების ავტორიტეტი უპარტიო ახალგაზრდობის თვალში ძალიან დიდია.

ეკონომიურ მუშაობის დარგში ჩვენ ცოტა მუშაკი გვყავდა და ამიტომ იგი მოიკოჭლებდა. ბირჟაში ჩარიცხული იყო 2500 ახალგაზრდა მუშა. „უმუშევართა“ წმენდის შემდეგ ეს რიცხვი შემცირდა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ახალგაზრდათა განწესრიგებაც.

შრომის დაცვა სწარმოებს. სამკურნალო უჯრედებს სათანადო ყურადღება ექცევა. სპორტის დარგში მუშაობა მოისუსტებს მცოდნე მუშაკებისა და ნივთიერ სახსრის უქონლობის გამო.

ამხ. რადეკის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ*)

(ხარკოვის საბჭოს პლენუმზე 8 სექტემბერს)

არა მარტო სოლიდარობის გრძნობის, არამედ ჩვენი ინტერესების ფხიზლად გაგების გამო ჩვენ უნდა დავეხმაროთ გერმანიის მუშას იმით, რასაც ის მოგვთხოვს. გერმანიის რევოლიუციის დამარცხება იმავე დროს შეიქნებოდა დასაწყისი ფართე სამხედრო ინტერვენციის დაწყებისა კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ; უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მომენტში გერმანია ფართე პლაცდარმი შეიქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ძალებისათვის.

რევოლიუციონური ტალღა იზრდება.

რევოლიუციონური ბრძოლის რამდენიმე წლით შეწყვეტის შემდეგ, რაც ბურჟუაზიას რევოლიუციის დამთავრებად მოეჩვენა, ჩვენ კვლავ უახლოვდებით ღრმა რევოლიუციონური ქარიშხალის ეპოქას.

ჩემი მოხსენების ცენტრში მე ვაყენებ გერმანიის ამბებს, ვინაიდან გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლის განვითარება არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, არის ცენტრალური პოლიტიკური საკითხი. **გერმანიის ამბებს ჩვენ ვაფასებთ, როგორც მზადებას მეორე რევოლიუციისათვის.** მიუხედავათ ამისა, პრესა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამას, მუშათა კლასის ფართე მასებმა კი საქმათ არ იციან იმ ამბების შესახებ, რომლებიც ჩვენს საბჭოთა კავშირსაც მეტად მნიშვნელოვანი შედეგებით ემუქრება.

1919 წელი.

რომ ზერელეთ გადავავლოთ თვალი გერმანიის რევოლიუციის ისტორიას და გერმანიაში მუშათა კლასის ბრძოლის განვითარებას, ზოგიერთები სკეპტიკურად მოეპყრობიან იმას, რასაც ვლაპარაკობ.

რომ სწორად იქნას გაგებული გერმანიის ამბების აზრი, უნდა გამოვარკვიოთ, თუ რითი განირჩევა ის წარსული წლების იმ ამბებისაგან, რომლებმაც არ გამოიწვიეს რევოლიუცია.

1919 წელს გერმანიის მუშათა კლასმა თუ ვერ მოიპოვა ძალა-უფლება, ყოველ შემთხვევაში მას ხელში ეჭირა ის კაიზერის იმპერიის დამხობის წყალობით. გერმანიაში არსებობდენ არა მარტო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, არამედ თვით მთავრობა იწოდ ბოდა საბჭოთა მთავრობათ. ბ. ბ. შეიდემანისა და ჰააზეს მთავრობა უწოდებდა თავის თავს „სახალხო კომისართა მთავრობას“.

ჰუნგრეთი ერთ დროს საბჭოთა რესპუბლიკა იყო. მისი მთავრობა ეყრდნობოდა საბჭოებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა. თქვენ გახსოვთ გაფიცვების ტალღა, რომელიც მოედვა ინგლისს და ფაბრიკა ქარხნების დაკავება მუშების მიერ იტალიაში? ეს რევოლიუციონური ტალღა დამთავრდა 1920 წ. მუშათა კლასის დამარცხებით.

დამარცხების მიზეზები.

ამ პირველი რევოლიუციონური ტალღის დამარცხებაში მეტად დიდი როლი ითამაშა სოციალ-დემოკრატიის ბელადების მოღალატეობამ. მაგრამ როგორ მოახერხეს მათ პროლეტარიატის შეჩერება ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოსვლისაგან, როგორ მოახერხეს მათ მუშების კვლავ შებმა კაპიტალისტურ უღელში?

ბურჟუაზია კრიზისიდან გამოვიდა ორი ობიექტიური ფაქტორის წყალობით: პირველია—მუშათა კლასის საშინელი მოქანცვა ოთხი წლის ომისაგან და, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო ომის შიში, იმედები მშვიდობიანი გზით მდგომარეობის გაუმჯობესებისა, შემდეგ, ომის ადგილი დაიჭირა არა ეკონომიურმა კრიზისმა, არამედ—საქონლის სიმშილმა, რომელმაც საშუალება მისცა კაპიტალისტებს დათმობაზე წასულიყვენ მუშათა კლასის მიმართ. მუშებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ „დემოკრატია“ გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას და მიიყვანს მათ სოციალიზმამდი, ამის წყალობით სოციალ-დემოკრატიამ მოახერხა შეენარჩუნებია პროლეტარიატის უმრავლესობა და ხელის შეშლა მათი კომუნისტებთან შეერთებისათვის, რომლებიც, მართალია, მაშინ სუსტი და მცირე რიცხოვანი იყვნენ.

რა მისცა გამარჯვებამ ბურჟუაზიას?

ახლა დავახასიათოთ მსოფლიო ბურჟუაზიის გამარჯვების შედეგები. ყველა ქვეყნის მუშები მოელოდენ, რომ ომი დასრულდა და დაიწყო მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდი. ისინი ფიქრობდენ, რომ გერმანიის მილიტარიზმის დამარცხება, რომლის წინააღმდეგაც სწარმოებდა ომი, გზას გაუხსნის ერების დაახლოების ეპოქას. თქვენ არ დაგვიწყებიათ ალბათ გრანდიოზული დემონსტრაციები ევროპაში, რომლებიც ხდებოდა ლოზუნგის ქვეშ—„კმარა ომი“.

ამ დღეებში მუსოლინიმ, იტალიის დიქტატორმა, ერთა ლიგის წევრმა, კატეგორიულათ უარყო უკანასკნელის ცდა აეცილებინა ომის საფრთხე და დაინახა გულუბრყვილო ხალხი, რომელიც ფიქრობს, თითქო უკანასკნელმა იმპერიალისტურმა ომმა შესცვალა რაიმე კაპიტალისტურ საზოგადოებაში,—რომ ისინი დიდათ სცდებოდნენ.

დღეს, თოფქვეშ მყოფთა რიცხვი ბევრათ სჭარბობს იმას, რომელიც იყო ე. წ. „უკანასკნელი ომის“ წინ. უფრო მეტი, დღეს დღევანდელი დღის შეიარაღება უფრო საშიშია, ვიდრე ომამდე არსებული. გაზიანი ბომბები, საჰაერო ფლოტი—ეს არის იარაღი არა მარტო მოწინააღმდეგის ჯარების, არამედ მთელი ერების გასანადგურებლად. საფრანგეთის საჰაერო ფლოტს შეუძლია ისეთივე განადგურება გამოიწვიოს ინგლისში, როგორიც მიწისძვრამ იაპონიას მიაყენა.

განსაკუთრებით დამახასიათებელია თანამედროვე კაპიტალისტური მსოფლიოსათვის ის დამოკიდ. რომელიც წილად ხვდა იაპონიის კატასტროფას იმ დროს, როცა მთავრობები „სამძიმარს“ უცხადებდენ იაპონიას, წითელი ჯვრები კი დახმარების აღმოსაჩენად ემზადებოდენ, საერთაშორისო გენერალური შტაბები შეუდგენ იმის გამორკვევას, თუ რა სამხედრო ცვლილებებს გამოიწვევს იაპონიის ხალხის უბედურება. **მთელი მსოფლიო იმაზე ფიქრობს, როგორ აწარმოოს მომავალი ომი.**

მუშებს არ სურს ომი.

ეს ფაქტი გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის მუშებზე. **ბურჟუაზია მიექანება საერთაშორისო ომისაკენ, რომელიც დაატყდება კაცობრიობას მისი სურვილისა და ნების წინააღმდეგ.**

ეს ფაქტი—გამოსავალი წერტილია მუშათა კლასის ოპოზიციონური და რევოლიუციონური სულიერი განწყობილებისათვის. მომავალი რევოლიუციონური ამბებისათვის მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ომის დამთავრება და ამავე დროს ახალი ომისათვის ემზადება.

მაგრამ ხელსაყრელი, სპეკულიანტური კონიუნქტურის პერიოდი დასრულდა 1919 წელს. 1920 წელს დაიწყო ეკონომიური კრიზისი, რომელმაც უმუშევრად აქცია ამერიკაში—500.000 კაცი, ინგლისში კი—2,000,000.

ბურჟუაზიის უძლურება.

კრიზისის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა უფრო ღარიბი, ვიდრე ომამდე იყო. ბაზრები დაღარიბდენ, ხალხის მასების მსყიდველობითი უნარი შესუსტდა. და ამიტომ 1919 წლის ხელსაყრელი კონიუნქტურის შემდეგ თავი იჩინა კრიზისმა. ეს კრიზისი შედარებით სუსტია ამერიკაში, რომელმაც ახალი ბაზრები იშოვა სამხრეთ-ამერიკის სახელმწიფოებში, მაგრამ ეს კრიზისი ჯერაც არ არის დაძლეული ევროპაში. და ჩვენ ვხედავთ: ინგლისში უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ყოველწლიურათ 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ამის შედეგი კი ის არის, რომ იქ, იმ ქვეყანაში, სადაც მუშების მასა ჯერ შორს არის კომუნისტური იდეებისაგან, მუშები არჩევნების დროს კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს აძლევენ ხმების დიდ რაოდენობას.

მუშათა მოძრაობის ზრდის ეს ნიშნები არ მოგვცემდენ მომავალი რევოლიუციის შესახებ ლაპარაკის საშუალებას, რომ არ იყოს კრიზისი გერმანიაში, რომელიც ვითარდება ბურჟუაზიის უძლურების ფონზე—ბურჟუაზიამ ვერ შესძლო სახალხო მეურნეობის მოწესრიგება. მე, ამხანაგებო, ყველა ამას იმიტომ ვლაპარაკობ, **რომ ყველამ შეითვისოს ის აზრი—რომ ჩვენ მოწამე გავხდებით სერიოზული ამბების და რომ ჩვენ უნდა ვემზადოთ ამისათვის.**

ბურჟუაზიის ძალა-უფლების გამაგრების წყაროები გაქრენ.

როგორ შეაჩერა გერმანიის ბურჟუაზიამ 1919 წელს რევოლიუციონური მოძრაობა? ამის მიზეზებს უნდა ჩაუფიქრდეთ, რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს მიზეზები უკვე გაქრენ პირველი მიზეზი, რომლის წყალობითაც მუშათა კლასმა ძალა-უფლება შეინარჩუნა,—ეს არის „წყნარი სისხი“. სესხმა, რომელიც წარმატებით გატარდა უცხოეთის ბურჟუაზიაში, გამოიწვია ნდობა ბურჟუაზიული გერმანიის მომავლისადმი, მეორე მიზეზია—უცხოეთის ფირმების ძველი ნდობა გერმანიის ფირმებისადმი, რომლებთანაც მათ მრავალი წლების განმავლობაში საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ. ახლა ძალაუფლების გამაგრების ეს წყაროები გაქრენ. ახლა გერმანიის მთავრობას კაპიკის მიღებაც არ შეუძლია საზღვარ-გარეთ, გარდა მცირე ვადიანი სესხისა, რომელზეც მეურნეობის აშენება შეუძლებელია. ასეთ მდგომარეობაშია გერმანიის კერძო ფირმებიც, შესაძლოა გარდა სტინესისა და კრუპპისა.

მარკის კურსის დაცემის მიზეზები.

რა არის ამის მიზეზები? თქვენ იცით, რომ მოკავშირეებმა უდიდესი ხარკი დაადვეს გერმანიას: გერმანიას 1921 წლის პირობით უნდა გადაეხადა სამოცი მილიარდი ოქროს მანეთი. გერმანია 1921 წლის დამლევს და 1922 წლის დასაწყისში შეუდგა ვალის გადახდას და მარკის კურსმა დაცემა დაიწყო. გერმანიის ბურჟუაზია ამტკიცებს, რომ მარკის კურსის დაცემა შედეგია სწორეთ ამ ვალების გადახდის. ეს არ არის მართალი. რასაკვირველია, ვალის გადახდა აღარიბებდა გერმანიას, მაგრამ ეს არ არის მარკის კურსის დაცემის ერთად ერთი მიზეზი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია გერმანიაში გაბატონებული კაპიტალისტთა კლასის პოლიტიკა. ომის დაწყების დღიდან გერმანიის ბურჟუაზია არ იხდის გადასახადებს. ამის ნაცვლად გერმანიის მთავრობა აგროვებდა საჭირო თანხებს გერმანიის ღარიბი მასებისაგან სესხის აღებით და პირდებოდა მათ გადახდას ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ. ამიტომ მოგროვდა 210 მილიარდი შინაური ვალი. ამის შემდეგ გერმანიას მოუხდა კონტრიბუციების გადახდა ანტანტისათვის, მაგრამ გერმანიის მთავრობას არც ერთხელ არ უფიქრია, თუ სად ეშოვა საამისო თანხები. ბურჟუაზიის ნაწილი სპეკულიანტობდა, რომ სახელმწიფო დაღარიბდება, თითეული კაპიტალისტი კი გაემდიდრება. ამას აღწევდენ სრულიად უბრალო საშუალებით: გადასახადების შეკრების ნაცვლათ, უშვებდენ ახალ ფულებს. ფულები ეცემოდენ მით უფრო, რამდენათაც ნაკლები იყო საქონლის მოძრაობის ზრდა.

გერმანიის ბიუჯეტი და ბიუჯეტი მისი ბურჟუაზიის.

სულ რამდენიმე ხნის წინათ დასცინოდენ ჩვენს ფინანსიურ რეფორმას. ჰამბურგში აბრამოვიჩი დაგვცინოდა, რომ ჩვენ ბიუჯეტი ვერ შევადგინეთ და მაშინ ერთი გერმანელი მუშა შეეკითხა მას:

—„თქვენ ნახეთ კუნოს ბიუჯეტი“?

ჩვენი ბიუჯეტი ცუდი იყო. ყოველი რევოლიუცია ცუდი ბიუჯეტით იწყება—ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გერმანიაში იქნება კარგი რევოლიუცია. უკანასკნელ ხანებში გერმანიის შემოსავალი უდრიდა მისი ხარჯების 2 პროც-ს, უკანასკნელ თვეებში კი—0,7 პროც ს. მაგრამ ვინ იხდის ამ 0,7 პროც-ს? რომ ავიღოთ გადასახადები, მის 80 პროც-ს იხდიან მუშები და მოხელეები. ეს ხდება უბრალოთ—გერმანიის კაპიტალისტი, როცა მუშას აძლევს ჯამაგირს, აკლებს მას 10 პროც. გადასახადის დასაფარავად, სახელმწიფოს კი ამ დაკავებულ თანხებს აძლევს ნახევარი ან ერთი წლის შემდეგ, როცა ეს ფულები კარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას. გერმანიის ბურჟუაზიამ მილიარდები შეიძინა ომით და ვერსალის ზავით. რუსეთის რევოლიუციის არცერთ პერიოდში მანეთიანის კურსი არ ეცემოდა ისეთის სისწრაფით, როგორც ეცემა მარკა რურის დაკავების დღიდან.

ბატონ პუანკარეს ფილოსოფია.

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა ისეთია, თუ პუანკარე არ გადაახდევინებს ვალებს გერმანიას, ის იძულებულია ეს თანხები გამოართვას წვრილ ბურჟუაზიას და გლეხს, რომლებმაც ძალა-უფლება მისცეს პუანკარეს. თუ გლეხი იძულებულ იქნება თვითონ იხადოს ფულები, ის მიატოვებს ბატონ პუანკარეს. და აი, პუანკარეს ფილოსოფიაც შემდეგში გამოიხატება:

— რომელიმე ჩვენგანს სული უნდა ამოძვრეს, დეე ამოძვრეს ის გერმანიას, ჩვენ კი მოვიცდით. თუ სადმე უნდა იფეთქოს რევოლიუციამ, დეე მოხდეს ის გერმანიაში.

გერმანიის ბურჟუაზიამ მეორეთ წააგო ომი.

გერმანიის ბურჟუაზია დარწმუნებული იყო, რომ ის წყნარათ, დამშვიდებით, თხოვნის წყალობით, მიიღებს მორატორიუმს. ის დარწმუნებული იყო, რომ ინგლისი დაიცავს რურის ოლქს. რურში არის მსოფლიოში უმდიდრესი ქვანახშირის მადანი, რომელიც მსოფლიოში უმდიდრეს საფრანგეთის მადნეულთან შეერთებით, გადააქცევს საფრანგეთს უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოთ, რადგან ნახშირი და რკინა, ომის უპირველესი საშუალებები არიან. გერმანია ფიქრობდა, რომ ინგლისი არ დაუშვებს საფრანგეთის ასე გაძლიერებას, მაგრამ შეცდა.

ინგლისის ბურჟუაზიას აშინებს საფრანგეთის სამხედრო გაძლიერება, მაგრამ მას არ ძალუძს ხელი შეუშალოს ამას. საფრანგეთს თოფ ქვეშ ყავს 800 ათასი კაცი, საფრანგეთს აქვს კოლოსალური საჰაერო ფლოტი. ინგლისს კი შეუძლია ყველა ამას დაუპირდაპიროს მხოლოდ თავისი საზღვაო ფლოტი, გრძნობდა რა თავის უძლურებას, ინგლისი გაახარა საფრანგეთის მიერ რურის დაკავებამ. რადგან იცოდა, რომ იქ ადვილია შესვლა, გამოსვლა კი ძნელია. და სანამ გერმანია მოელოდა ინგლისის დახმარებას, ინგლისმა სალამი მისცა პუანკარეს, რომელიც უკვე შვიდი თვეა რურში ზის. ეს ნიშნავს, რომ გერმანიის ბურჟუაზიამ მეორედ წააგო ომი.

რურის ოკუპაციის დასაწყისისათვის გერმანიაში გამოშვებული იყო 2 ტრილიონ მარკამდი. 1-ლ აგვისტომდი გამოშვებული იქნა 58 ტრილიონი, აგვისტოს პირველი 10 დღის

---

*) იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელსაც იძენს ამბების განვითარება გერმანიაში, ჩვენ ვბეჭდავთ ხარკოვის საბჭოს პლენუმზე ამხ. რადეკის მიერ გაკეთებულ ფრიად შინაარსიან მოხსენებას, გადმოქვეყნებულ ხარკოვის „კომუნისტში“ (№ 234, 9 სექტ.)

იაპონიის დასახმარებლათ

რკინისგზის მუშებისაგან

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფესიონალური კავშირი მწუხარებით შეხვდა იაპონიაში მიწის ძვრის გამო მომხდარ კატასტროფიულ ამბების ცნობას. საშინელი უბედურება ეწვია იაპონიის პროლეტარიატს: დაიღუპა მრავალი ცოცხალი ძალა და პროლეტარიატის ხელით მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ნივთიერი სიმდიდრე.

იმ დროს, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატი რაზმდება, მაგრდება და უკანასკნელ ძალებს კრეფს შემოტევაზე გადმოსულ მტრის,—საერთაშორისო კაპიტალიზმისა და რეაქციის,—წინაამდეგ, ერთ-ერთი მისი ნაწილი,—იაპონიის პროლეტარიატი,—მოკლებულია საშუალებას შრომისა და კაპიტალის შორის საყოველთაო ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობის მიღებისა.

ამის გამო, ამიერ-კავკასიის რკინის გზის პროლეტარიატი თავისი ორგანიზაციის,—ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის,—სახელით ღრმა თანაგრძნობას უცხადებს იაპონიის მუშებსა და გლეხებს და უწვდის მას, შეძლებისდაგვარათ, დახმარების ძმურ ხელს.

ამ.-კავ. რკინის გზელთა პროფ-კავშირის საბჭომ ამა წლის 11 სექტემბრის სხდომაზე, მოისმინა რა ცნობა იაპონიაში მომხდარ კატასტროფის შესახებ, დაადგინა: საჭიროთ ჩაითვალოს ყველა მონათესავე ორგანიზაციების, — რკინისგზელთა პროფკავშირის, გზათა სამმართველოს, ამ.-კავ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებისა და რკინის გზის დამზღვევ კასსის მიერ მიწის ძვრისაგან დაზარალებულ იაპონიის მუშათა სასარგებლოთ 300 ჩერვონეცის ერთდროულათ გაღება და ამ თანხის ჩაბარება სახელმწიფო ბანკისათვის მიმდინარე ანგარიშზე.

იმედი გვაქვს ახლო-მომავალში პროლეტარულ იაპონიის აღორძინებისა.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმი.

ეკონომიური ცხოვრება

მუშკოპის ფასები.
(17 სექტემბერი).
(ჩერვონეცის კურსი — 46,000 ათ.)

პური 1 ხარ. გირვ 300.
პური 2 ხარ. გირ.—180.
შაქარი — რაფ. — 2485.
ფხვნილი შაქარი—2025. ათ.
ძროხის ხორცი — 900. ათ.
ცხვრის ხორცი — 1300 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(17 სექტემბერი.)

პური 1 ხარ. — 400 ათ.
პური 2 ხარ. —200—300.
ფხვნილი შაქარი—2100——2200.
შაქარი რაფინადი—2,600—2750.
ძროხის ხორცი—1100 ათ.
ცხვრის ხორცი—1400 ათ.

ვალიუტის კურსი ტფილისში.
(17 სექტემბერი).

ჩერვონცები — — — 46,300
გირ. სტერლინგ. ეფექტ. 43.400
ჩეკები — 43,400
დოლარები ეფექტ. — 9 400
„ ჩეკები — 8,750
ოსმ. ქაღ. ლირა 6.000
საბჭ. ფულის ნიშნები 16,5

ბირჟის მოთხოვნა.
(17 სექტემბერს).

მაკარონი და ვერმიშელი. ფხვნილი შაქარი. მატყლი. საღებავი. ცემენტი, ქაღალდი და კარდონი.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში

საექიმო დახმარება მუშებს.

მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა წინადადებით მიმართა ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებას, რაც შეიძლება დაჩქარებით მოაწყოს ვარციხის სახალხო მამულში პატარა აფთიაქი, რათა ადგილობრივ მუშებს გაუადვილდეს ექიმობა და წამლობით სარგებლობა.

ადგილკომის დაარსება

ლეჩხუმის მიწა-ტყის მუშაკთა ინტერესების დასაცავად კავშირმა დაადგინა საექიმო-სასანიტარო კავშირიდან გამოყოს ადგილკომი და დაარსოს ცალკე ადგილკომი, რომელსაც გაეგზავნება კოლექტიური ხელშეკრულების ასლი გასაცნობათ და ცხოვრებაში გასატარებლად.

ჯამაგირების თავის დროზე დარიგებისათვის.

კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მიწად-მოქმედების კომისარიატს მიიღოს ზომები, რათა ლეჩხუმის მაზრის მუშა-მოსამსახურეებს ყოველ მიზეზს გარეშე თავის დროზე დაურიგდეს კუთვნილი ჯამაგირი.

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

წინადადება მიეცა სახელმწიფო ღვინის სარდაფის ადმინისტრაციას საჩქაროდ შეიძინოს ღამის დარაჯებისთვის თბილი ჩექმები და სამრეწველო განყოფილების მუშებს მიეცეთ წინსაფრები.

კულტ-მუშაობა.

კულტ-განყოფილების თაოსნობით მიწად-მოქმედების კომისარიატთან დაარსდა 1-ლი საფეხურის სკოლა, სადაც სწავლას განაგრძობენ წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლის კურსდამთავრებული მუშები.

საჰაერო ფლოტისთვის.

კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა ადგილკომებს საჩქაროდ გაატარონ კამპანია საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ შეწირულების შესაგროვებლად და შეკრებილი თანხა შეიტანონ კავშირის სალაროში დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.

შეწირულება საჰაერო ფლოტისთვის.

ტფილისის ბოტანიკური ბაღის მუშებმა გადასდვეს საჰაერო ფლოტისთვის ერთი დღის შემოსავალი. ფული უკვე შეგროვილია და გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

წითელ ჯარში

ექსკურსია.

შაბათს, 8 სექტემბერს ა. | წ. სასკოლო განყოფილების მიერ ამხ. მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, დივიზიის სკოლის და პოლიტ-კურსების წითელარმიელებთან ერთად მოეწყო ექსკურსია ბაკურიანის მიმართულებით. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს: ბაკურიანი და მისი მიდამოები, ბორჯომი და მისი ღირსშესანიშნავი ადგილები, სადაც წითელ-არმიელების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბორჯომის შუშის ქარხანამ. ქარხნის მუშები დიდის პატივისცემით შეხვდნენ წითელარმიელებს და მათ თვალწინ გააკეთეს რამოდენიმე ბოთლი. წითელარმიელები ძალიან კმაყოფილი დარჩნენ ქარხანაში ნახვლით და ერთი მეორეს თითქოს ნიშნის მოგებით ეუბნებოდენ: „სახლში რომ ყოფილიყავი, განა ყველა ამას ნახავდიო“. აქედან ექსკურსანტები გამოემგზავრენ სურამში, სადაც დაათვალიერეს სურამის ციხე და მისცეს ხელმძღვანელს რამოდენიმე შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენათ მართალია დანიელ ჭონქაძის თხუზულება და მართლა არის ჩატანებული სურამის ციხის კედელში ზურაბიო? ხელმძღვანელმა აუხსნა მათ ლეგენდის მნიშვნელობა. აქედან ექსკურსანტა დაბრუნდა ტფილისში

პოლიტ-კურსები.

ამ დღეებში დასრულდა პოლიტიკური კურსების მსმენელთა წმინდა მათი საერთო განვითარების მიხედვით, რის შემდეგ დათხოვნილი იქნა კურსებიდან ცხრა კაცი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე.

ვინაიდან ნაწილების საგარაკოთ ყოფნის დროს სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოესწრო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მოხდენა მთელი 100 პროც. რაოდენობით, ამიტომ პოლიტ-განყოფილების სასკოლო ქვეგანყოფილებამ გადასდო გამოცდები ოქტომბრის ექვსი წლის თავისათვის, რომლისთვინაც სრული იმედი გვაქვს, რომ არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ იქნება წითელი ჯარის სახელოვან რიგებში.

პედაგოგიური კურსები.

8 აგვისტოს ქალ. ტფილისში ამიერ-კავკასიის წითელი დროშის არმიის პოლიტ-სამმართველომ გახსნა პედაგოგიური კურსები. კურსებზე არიან ჯარში მომუშავე ყველა მასწავლებლები. კურსების მთავარი მიზანია გააცნოს მსმენელები სხვადასხვა მოზრდილთა სწავლების ახალ მეთოდებს.

მეტრიული ზომის შესწავლა.

სექტემბ-ის პირველ რიცხვებიდან მეტრიული ზომის შესწავლის გატარების საქმე ქართულ დივიზიაში გადავიდა პოლიტ-განყოფილების სასკოლო ქვეგანყოფილების განკარგულებაში.

სასკოლო განყოფილებამ ენერგიულათ მოკიდა ხელი ამ საქმეს და ამ თვის დამლევს რიცხვებში მოხდება მეტრიული ზომის უცოდინარობის ლიკვიდაცია ნაწილების მეთაურ-პოლიტ ადმინისტრატიულ და სამნეო შემადგენლობის შორის.

ქიმიო-ფარმაცევტიული განყოფილების დაარსება სახელმწიფო უნივერსიტეტთან

სახ. განათლების კომისარიატმა დაადგინა სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტთან დაარსებულ იქნას ქიმიო-ფარმაცევტიული განყოფილება. აღნიშნული განყოფილება, რომელიც არსდება სახ. უნივერსიტეტის დოცენტის ი. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით მიზნათ ისახავს, მოამზადოს საქართველოსთვის მუშაკნი—ქიმიო-ფარმაცევტიკის დარგში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოსთვის, ვინაიდან აქ სამკურნალო მცენარეები უამრავი ჰხარობს და მინერალებიც ბევრი მოიძებნება, რომელთაგან სხვა და სხვა წამლეულობის დამზადება შეიძლება. მსმენელებად მიიღებიან საშუალო სასწავლებელ დამთავრებულნი, როგორც გამონაკლისი აგრეთვე მიიღებიან აფთიაქის ყოფილი თანაშემწენი, რომელთაც არა აქვთ მიღებული საშუალო განათლება. მათ აქვთ უფლება განყოფილებაზე შესვლისა გამოცდების ჩაუბარებლად 3 წლის განმავლობაში, მომავალი სამოსწავლო წლის დასაწყისიდან, მხოლოდ ისინი ვალდებულნი არიან განყოფილებაში შესვლის შემდეგ პირველი 3 წლის დამლევისათვის ჩააბარონ დამატებითი გამოცდები მათემატიკაში, ფიზიკაში და ლათინურში, თუ ზემოხსენებულნი აფთიაქის თანაშემწენი 3 წლის განმავლობაში არ შევლენ მსმენელებად განყოფილებაში, და შემდეგ მოისურვებენ მასზე შესვლას, უნდა ჩააბარონ წინასწარი გამოცდები.

განყოფილების კურსი ოთხწლიანია, მეოთხე წელს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების უფლების მისაღებათ, ყოველი სტუდენტი მოვალეა დასწეროს შრომა მიცემულ თემაზე. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მათ ეძლევათ სახელწოდება ფარმაცევტიული მეცნიერების კანდიდატისა.

აფთიაქის თანაშემწედ არ ყოფილნი მოვალენი არიან გაიარონ უნივერსიტეტთან არსებულ აფთიაქში ერთი წლის პრაქტიკის სტაჟი.

მეორე კურსის დამთავრების შემდეგ შეიძლება სპეციალიზაცია ოთხ დარგში: სასამართლო ქიმიაში, ფარმაცევტიულ ქიმიაში და ფარმაკოგნოზიაში, ფარმაცევტიულ ტეხნოლოგიაში და სამკურნალო მცენარეთა მოშენებაში.

თხოვნები მიიღება 20 სექტემბრამდე.

ამ განყოფილების დაარსებისთანავე ისპობა პროვიზორის, აფთიაქის თანაშემწის და აფთიაქის მოწაფის ხარისხის მიღებისათვის აქამდე არსებული წესი და აგრეთვე უქმდება ხსენებული სახელწოდებები.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 22 სექტემბრისათვის.

ა | კ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 17 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება ათი (10) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 22 სექტემბრისათვის განისაზღვროს — 89.600 000 მანეთით.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს— 8 960.000 მანეთით.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ა. მიქაძე.

ქრონიკა

— **ახალი საავადმყოფოები პროვინციებში.** ლეჩხუმის მაზრაში, სადაც დღემდე არ იყო არც ერთი საავადმყოფო, საქ. ჯანმ. სახ. კომისარიატის მიერ უკვე გაიხსნა ორი საავადმყოფო: ერთი დაბა ცაგერში და მეორე ლაილაში.

— **ბირჟის ვაჭართა თათბირი.** 25 სექტემბრისათვის ტფილისში მოწვეულია ა.-კავკასიის ბირჟის ვაჭართა წარმომადგენლების თათბირი.

— **აგარაკ სოხუმში.** სოხუმში საზამთრო სააგარაკო სეზონი გაიხსნა 15 სექტემბერს. სანატორიუმებში უკვე დაწყებულია ავადმყოფების მიღება.

— **მეთოდიური ქრისტომატია.** გამოვიდა რუსულ ენაზე შედგენილი, შრომის სკოლებში სახელმძღვანელოთ „მეთოდიური ქრისტომატია“ შედგენილი ი. ზედგინიძის და ვ. ჯაფარიძის მიერ.

— **197 გლეხის გაგზავნა მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.** საქ. საგამომფენო კომიტეტმა 12 სექტემბერს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა 197 გლეხი უფასოთ. აღნიშნულ გამოფენაზე აგრეთვე გაიგზავნა 162 სტუდენტი და 28 მუშა.

— **სანატორია სანგრძლივ ავადმყოფთათვის.** განზრახულია უახლოეს ხანში მოეწყოს სანატორია აგარაკ ცემში ხანგრძლივ ავადმყოფთათვის.

— **ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის წარმომადგენელი პეტროგრადში.** ტფ. ქალ. აღმასკომის დადგენილებით, ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონულ სადგურის წარმომადგენლად პეტროგრადში დაინიშნა ინჟ. ფირალოვი.

— **მინდვრის თაგვები.** როგორც კახეთიდან იტყობინებიან, იქ გაჩენილა მინდვრის თაგვები, რაც დიდ საშიშროებაში აგდებს ზამთრის ნათესებს. საჭიროა ამთავითვე ზომების მიღება მათ მოსასპობათ.

— **მოძრავი პუნქტები.** სოფლის მეურნეობის მავნეებთან მებრძოლმა ბიურომ ტფ. მაზრებში მოაწყო მოძრავი პუნქტები საჭირო წამლებით, რომლითაც დახმარება გაეწევათ ადგილობრივ მცხოვრებლებს სოფლის მავნეებთან საბრძოლველათ შეღავათიან პირობებში.

— **ახალი გადასახადი.** ტფ. ქ. აღმასკომმა შემოიღო ნახევარწლიან ახალი გადასახადი ავტომობილებზე და ველოსიპედებზე: მსუბუქ ავტომობილებზე—2 მ. და 30 კ, შავი ოქროთი, თითო ცხენის ძალაზე; საბარგო ავტომობილზე 1 მან. და ველოსიპედებზე—1 მან. და 50 კ.

— **კრება.** დღეს საღ. 5 საათ. თვითმშრომელთა კლუბში დანიშნულია კავშირის წევრ მკერავთა დარგის საერთო კრება. დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

— **შრომის ბირჟა.** 15 სექტ. აღრიცხვაზე გამოცხადდა 397 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 125, სამუშაოზე გაიგზავნა—42 კაცი.

ხელოვნება

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირში.

16 სექტემბერს საინიციატივო ბიუროს ხელმძღვანელობით ხელოვანთა სასახლეში შესდგა პროლეტარულ მწერალთა კრება. კრება გახსნა სილ. თოდრიამ, რომელმაც განუმარტა დამსწრე საზოგადოებას პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარსული უსისტემო მუშაობა, და მისი უნაყოფობა. შემდეგ მოკლე ინფორმაციულ მოხსენებით გამოვიდა ამხ. იონა ვაკელი, რომელმაც გაარკვია სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხები. შემდეგ არჩეულ იქნა გამგეობა, რომელშიც შევიდნენ: რაჟდენ კალაძე, სილ. თოდრია, ეული, ვაკელი და ზომლეთელი. სარევიზიო კომისიაში: თალაკვაძე, სამსონიძე და ლუარსაბიძე; სარედაქციო კოლეგიაში არჩეულ იქნენ ამხ. დუდუჩავა, ვაკელი და დუმბაძე. **გ. ჩ.**

—

— **ჰაისედრა დუნკანის გასტროლი ტფილისში.** 20 სექტემბერს, ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება ცნობილ მოცეკვავე ქალის ჰაისედრა დუნკანის პირველი გასტროლი.

— **„პლამია“.** გამოვიდა რუსული ჟურნალის „პლამიას“ მე-10 №, რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია ქართველი პოეტების ვალერიან გაფრინდაშვილის და პაოლო იაშვილის ლექსების თარგმნები და მათი პორტრეტები. ჟურნალში აგრეთვე დასტამბულია ქართველი მხატვრების მ. გოცირიძის და დ. ქუთათელაძის ნახატები.

ავტორიტობა მწერლობის იარლიკით

ვინ არის მართალი?

(წერილი ბათომიდან).

გაზეთ „კომუნისტი“ 189 ნომერში დაბეჭდილია შენიშვნა „აფერისტობა მწერლობის იარლიკით“, რომლის ავტორი ფარდას ხდის ბათომში კარგად ცნობილ კომბინატორის თომა ჩიქვანაიას „საგმირო“ საქმეებს. შენიშვნის ავტორი ამხ. კასიო, სხვათა შორის, სწერს: „მწვერვალის“ რწმუნებულს თუ გამომცემელს, ვილაც თომა ჩიქვანაიას დ. კასრაძის ხელმოწერილ მანდატით ბათომში სახელმწიფო-საზოგადო და კერძო დაწესებულებებიდან წინდაწინ აუღია განცხადებების ფული, მაგრამ „სხვადასხვა მიზეზების“ გამო გაზეთის გამოცემა ვეღარ განახლებულა და სხ.

ამ შენიშვნის საპასუხოდ გაზ. „ტრიბუნა-ს“ 553 და 556 ნომერში ჩიქვანაია, გაზ. „მწვერვალის“ სარედაქციო კოლეგიის და გამომცემლობის ნიღაბით, ათავსებს პასუხს, სადაც მისი კადნიერება ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. ვიდრე ჩიქვანაიას პასუხს შევეხებოდე, არსებითად უნდა ავღნიშნო, რომ გაზ. „მწვერვალს“ არავითარი კოლეგია არ ჰყოლია: მას რედაქტორობდა დ. კასრაძე და სცემდა ჩიქვანაია. (ამას ადასტურებს, თუ გინდ, ქ. კაპანელის განცხადება გაზ. „ტრიბუნა-ს“ 561 ნომერში).

რას სწერს ჩიქვანაია?

„მწვერვალის“ გამომცემელს თ. ჩიქვანაიას, რომელიც მართლა საკვირველი ენერგიით, საქმის სიყვარულით და იშვიათი გმირობით, აცოცხლებდა გაზ. „მწვერვალს“ და რომლისთვის ის მადლობის ღირსია ყველა იმათ მიერ, ვისთვისაც ძვირფასია ქართული კულტურა და მწერლობა, **არავისთვის წინდაწინ განცხადების ფული არ გამოურთმევია** და თუ გამოურთმევია,—პირადთ საჭიროებისათვის არ მოუხმარია“ (კურსივი ჩემია).

მართალია ეს?

ჯერ კიდევ ივლისში ბათომის გაზ. „ტრუდოვოი ბატუმ“-ის 146 ნომერში ჩიქვანაიას ავტორის შესახებ მოთავსებული იქნა წერილი, (ანალოგიური წერილი გამოქვეყნდა აგრეთვე გაზ. „რაბოჩაია პრავდა“-ში), რომელშიაც ავტორი ვ. კინი ნათელს ჰფენდა გაზ. „მწვერვალი“-ს ქვეშ ამოფარებულ კომბინატორ ჩიქვანაიას ქვენა ზრახვებს; კიდევ მეტი, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბათომში გაზ „მწვერვალი“-ს ხსენებაც არ იყო, ბ-ნი ჩიქვანაია აჭარისტანიი ქართველ მწერალთა კავშირის სახელით უცხოეთის სავაჭრო ფირმებში ჰყიდდა რაღაც სალიტერატურო გასამართლების ბილეთებს. (ბილეთების ხელზე გაყიდვა ბათომში აკრძალულია).

რაც შეეხება იმის მტკიცებას, თითქოს „ჩიქვანაიას არავისთვის წინდაწინ განცხადების ფული არ გამოერთმიოს“, ავალაპარაკოთ ფაქტები. ჩვენს ხელთ არის რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ძირბუდიანად არღვევს ბ-ნ ჩიქვანაიას პასუხის საფუძველს.

დოკუმენტი პირველი: „Г-ну редактору „Мцвервали“. Прошу срочно пред'явить в контору Табтреста 4 екз. газеты с опечатанными об'явлениями нашего треста; в противном же случае трест имеет взыскать с Вас 113.000.000 руб. Об'явление должно было быть опубликовано в июле месяце.

Зам. управ. отд. Табтреста в Батуме.“

უნდა აღინიშნოს, რომ ივლისში გაზ. „მწვერვალი“ უკვე დაკეტილი იყო.

დოკუმენტი მეორე: „Редакции газ. „Мцвервали“ было выплачено Бат. Главморагентством 30 июля 1923 г. за печатание об'явлении в течении июля м-ца с. г.—5 червонцев. Ни одного об'явления за июль м-ц напечатано не было“.

დოკუმენტი მესამე: „Кооперативом „Красная Звезда“ было выплачено газ. „Мцвервали“ 8 турецких лир за печатание об'явлении в июле м-це, которое за означенный м-ц напечатано не было“.

კიდევ მოიპოვება მრავალი დოკუმენტი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც საკმარისია.

მაშ, რის იმედით იწვევთ სამართველოში ამხ. კასიოს, ბ-ნო ჩიქვანაია?!

სად იყავით მაშინ, როდესაც აფიორობაში ბრალი „ტრუდოვოი ბატუმ“ თანამშრომელმა დაგდოთ?

ეხლა-კი მკითხველმა დასდოს მსჯავრი: „კომუნისტი“-ს რედაქციაა შეცდომაში შეყვანილი, თუ „ტრიბუნა-“ს.

Lux.

ღია წერილი

ყოფილ გაზეთ „მწვერვალ“-ის ქ. ბათომში და ქ. ტფილისში გაზ. „არაგვი“-ს გამომცემელ თომა ჩიქვანაიას.

ვინაიდან ჩემს სამართლიანს მოთხოვნილებას თქვენ გვერდი აუქციეთ და პასუხი მხოლოდ მუქარით გამეცით, ამიტომ ნებას ვაძლევ მე ჩემს თავს გამოგიწვიოთ თქვენ სამედიატორო სამართალში, იმ უკანონო და არა პატიოსან ადამიანთათვის საკადრისი საქმეებისშესახებ, რომლებიც მოიმოქმედეთ თქვენ საერთოდ და კერძოთ ჩემს მიმართ ქ ბათომში გაზეთ „მწვერვალი“-ს გამოცემის დროს დათიკო კასრაძის რედაქტორობით.

მედიატორეებათ ჩემის მხრივ ვასახელებ აჭარისტანის მთავრობის საქმეთა მმართველს სერგო ჟორჟოლიანს და თომა სიხარულიძეს და წინადადებას გაძლევთ, დღიდან ამის გამოქვეყნებისა გაზეთის ფურცლებზე, სამი დღის განმავლობაში დაასახელოთ თქვენის მხრით ორი კაცი მედიატორეებათ, რომელთა საერთო გამოძიების სრული ოქმი გაზეთებში უნდა იქნეს გამოქვეყნებული, რათა შეძლება მიეცეს მკითხველ საზოგადოებასაც თავისი მიუდგომელი მსჯავრი დასდოს თქვენს მოქმედებას, ვინაიდან თქვენი ნამოქმედარი არ არის კერძო ხასიათისა, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ მთელი რიგი თქვენ მიერ ჩადენილი „საქმენი „საგმირონი“ გამოვამჟღავნო საბუთების ალნუსხვით გაზეთებში მთავრობის და საზოგადოების საყურადღებოდ. საქმის გასარჩევ ადგილად ვნიშნავ ქ. ბათომს.

ქ. მარტვილელი.

1923 წ. 11 სექტემბერი.
ქ. ტფილისი.

პროვინციაში

„სიბნელის ადგილზე სინათლე აღმოცენდა“.

7-ამა სექტემბერს შორაპნის სამაზრო პორტკომის ხელმძღვანელობით დაბა საჩხერეში, ახალ თეატრში, ჭიათურის თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი იქნა რევოლიუციონური პიესა ტ. რამიშვილისა „მეზობლები“ თეატრის დარბაზი და გალლერეია სავსე იყო მაყურებლებით; წარმოდგენის წინ საჩხერის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. იასონ ცარციძემ რაიკომის და აღმასკომის სახელით გახსნა თეატრი, მიესალმა მას და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ამის შემდეგ მოკლე მოხსენებით გამოვიდა შორაპნის სამპარტკომის პ. | მ. მდივანი ა. ქავთარაძე, რომელმაც აღნიშნა ეკლესიების ბოროტება და თეატრის მნიშვნელობა. მან სთქვა: „სიბნელის ადგილზე სინათლე აღმოცენდა“-ო. ხაზი გაუსვა თუ ვის სჭირდებოდა ეკლესია და ვისთვის არის საჭირო თეატრი და მოუწოდა დამსწრეთ ხელი შეუწყონ ხელოვნების განვითარებას.

სიტყვებს ამშვენებდა სანდრო კავსაძის ხორო, შემდგარი ვაგონების მტვირთველ მუშებისაგან. მადლობის ღირსია ამხანაგი სანდრო და მუშები, რომელნიც ფეხით ამოვიდენ ჭიათურიდან საჩხერემდი და დაუზარებლად გაიარეს 13 ვერსი, საჩხერელ გლეხების სასიამოვნოდ. მადლობის ღირსი არის ჭიათურის თეატრის დასი, რომელმაც ერთგულად და პირნათლათ შეასრულა და საუცხოვოდ ჩაატარა დაკისრებული დავალება.

საჭიროა აღინიშნოს აქვე, რომ ჭიათურის სადგურის უფროსის ჯიუტობის წყალობით არტისტებს მო-

---

განმავლობაში 120 ტრილიონი, აგვისტოს დამლევისათვის კი უკვე— 1000 ტრილიონზე მეტი. ამას გარდა რკინისა და ნახშირის ოლქების ოკუპაციის გამო გერმანია იძულებული შეიქნა შეეძინა ისინი დოლარის ანგარიშით საზღვარ-გარეთ, რის გამო მარკის კურსი შეუჩერებლად ეცემოდა. იანვარში დოლარი 20 ათასი მარკა ღირდა ახლა კი—50.000000 *)

გერმანიის რევოლიუციის დასაწყისი.

მე გადავდივარ სოც.-პოლიტ. შედეგების შეფასებაზე. გერმანიაში ახლა არა მარტო მუშათა კლასი მატერიალურათ ჩინელი „კულის“ მდგომარეობაშია, არამედ წვრილი ბურჟუაზიაც პროლეტარიზაციის გზაზეა დამდგარი.

ეს არის ახალი ხანის დაწყება— ეს არის გერმანიის რევოლიუციის დასაწყისი. კომინტერნის მესამე კონგრესზე 1921 წელს ჩვენ ვეუბნებოდით გერმანიის მუშებს—არ გამოხვიდეთ ჯერ, სანამ სუსტი ხართ, დაიცადეთ. ახლა მდგომარეობა საგრძნობათ შეიცვალა. კომპარტია უკვე უახლოვდება მუშების უმრავლესობის დაპყრობას. ასეთი უმრავლესობა ჩვენ უკვე გვყავს მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. არჩევნების დროს ბერლინის ლითონზე მომუშავეებმა ჩვენ მოგვცეს 54.000 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს მხოლოდ 23.000 უკანასკნელი გრანდიოზული გაფიცვა, რომელმაც დაამხო კუნოს მთავრობა, ჩატარდა კომპარტიის და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ხელმძღვანელობის ქვეშ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია გადავიჭრეთ ბრძოლაში დარწმუნებული გამარჯვებაში. უნდა ვიცოდეთ განსხვავება რუსეთის და გერმანიის მუშების მდგომარეობაში. რუსეთის რევოლიუციაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კავშირს გლეხობასთან. გლეხურ არმიას სწყუროდა ზავი და მიწა და ამიტომ ის შეუერთდა მუშებს ბრძოლის დროს. გერმანიაში გლეხობა გადამჭრელ როლს ითამაშებს მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, რევოლიუციისათვის ბრძოლის დროს კი გადამჭრელი როლი ეკუთვნის ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას, რომლიდანაც ბურჟუაზიას ომისა და რევოლიუციის დროს გამოყავდა თავისი რეზერვები. შეფარდება პროლეტარიატსა და წვრილ ბურჟუაზიას შორის ასეთია: 15 მილიონი მუშა და 10 მილიონი ქალაქის წვრილი ბურჟუაზია.

კონტრ-რევოლიუციის ძალები.

რა ძალების მობილიზაცია შეუძლია ბურჟუაზიას რევოლიუციის წინაამდეგ. ეს არის—150,000 რეიხსვერი, 150,000 პოლიციელი და 250 000 დი შეიარაღებული ხალხი ფარული ნაციონალისტური ორგანიზაციებიდან.

იმისაგან, რამდენათ შესძლებს კომპარტია მიუახლოვდეს ამ მასებს, დამოკიდებულია იმ კითხვის გადაწყვეტა, როგორი—„დიდი თუ პატარა სისხლის დაღვრით“ აიღებს პროლეტარიატი თავის ხელში ძალაუფლებას. გერმანიის ინჟინერი, მასწავლებელი, გერმანიის წვრილი ბურჟუაზია ახლა უფრო უარესად ცხოვრობს, ვიდრე მუშა: გერმანიის ყოფილმა მაიორმა ჩემ კითხვაზე—როგორ ცხოვრობს ის, მიპასუხა ჩვენ ხორცს კვირაში მხოლოდ ერთჯერ ვჭამთ. ასეთი ოფიცერი ვერ იქნება გერმანიის ბურჟუაზიის დასაყრდენი. მე ველაპარაკე გერმანელ პროფესორს, ცნობილ მეცნიერს, რომლისაგანაც მე ჩვენი სახელმწიფო გამომცემლობისათვის შევიძინე დიდი შრომა ჩინეთის ისტორიის შესახებ. ამ შრომისათვის, რომელსაც მან რამდენიმე წელი მოანდომა, მან მოგვთხოვა 50 დოლარი ჩვენი ათი ჩერვონცები და ამასთან დაუმატა: „თუ ეს ფასი დიდია, დანიშნეთ თქვენიო“ ამ 50 დოლარს ის იღებს, როგორც ჯამაგირს ნახევარი წლის განმავლობაში. მთელი ეს ფენები, რომლებიც ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს, გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკას, დამხობილია, მას არა აქვს მომავალი.

ის დემოკრატიული რესპუბლიკის მტერია, მაგრამ ჯერ კიდევ არ გარკვეულა სად ეძიოს გამოსავალი. ერთი ნაწილი ოცნებობს კაიზერზე და ფიქრობს, რომ კაიზერთან ერთად დაბრუნდება ლუდი და ღორის ხორცი. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ თუ გერმანია აუჯანყდება ანტანტას, და ის, რომელმაც ანგარიში გაუწია საბჭოთა რუსეთის და პატარა ოსმალეთის იარაღს, იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს გერმანიასაც, — ეს ნაწილი უახლოვდება ფაშისტებს. მეორე ნაწილი, ხედავს რა ფასების ზღაპრულ ზრდას, ხალხის ექსპლოტაციას სტინესის და კრუპის მიერ, ყურადღებას აქცევს კომუნისტური პარტიის ხმას. წვრილი ვაჭრები მიმართავენ მუშათა საკანტროლო კომისიებს და ეუბნებიან: კანტროლი გაუწიეთ ჩვენს ვაჭრობას, დაგვიცავით ჩვენ, რომ ჩვენ არ გვარბევდენ. ამ ნიადაგზე, მ. ხვილ მძარცველებისადმი რისხვის მიმართვის ნიადაგზე იწყება დაახლოვება. ეს მასა იწყებს იმის გაგებას, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია ახალ გზას უხსნის გერმანიის ხალხს.

შემდეგ, კომპარტიამ მიმართა სტუდენტების, ოფიცრების მასებს და შეეკითხა მათ:—როგორ იბრძოლებთ თქვენ ანტანტის წინაამდეგ, თუ კავშირს არ დაიჭერთ მუშათა კლასთან.

ახლა, როცა მუშათა კლასის დიქტატურის ქვეშ გაერთიანებულია მთელი რუსეთი ბერეზინიდან ვლადივოსტოკამდი და ფინეთის ყურედან ბათომამდი,—ახლა ყველა გრძნობს, რომ ჩვენი კავშირის მუშამ შესძლო შეექმნა არაჩვეულებრივი გაერთიანება მთელ რიგ თავისუფალი ერებისა.

კომპარტიის წარმატებით მუშაობა.

უნივერსიტეტში თქვენ ხედავთ ასეთ სურათს: გამოდის პროფესორი ფაშისტი თავისი რეფერატით, შემდეგ პროფესორი—კომუნისტი რეფერატით თემაზე „ვინ არიან მხსნელები“. წარმოიდგინეთ თქვენ, დენიკინს ან კოლჩაკს რომ ჩვენთვის ბრძოლის წინ ასეთი დაახლოების საშუალება მოეცა თავის ჯარებთან, რა გამოვიდოდა აქედან? (სიცილი). როცა მოვა ჯამის გაკეთების მომენტი, მომენტი გერმანიის რევოლიუციისა, გერმანიის მუშა რუს მუშაზე ბევრათ უფრო ულმობელი იქნება, რადგან მას თვითონ ხუთი წლის განმავლობაში აღრჩობდა და ხვრეტდა თეთრი ძალა უფლება. წვრილ ბურჟუაზიას კი ახლა ხელს უწვდის გერმანელი მუშა და მოუწოდებს მასთან ერთად იაროს.

ამხანაგებო! ჩვენი პარტია გერმანიაში, რომელსაც შარშან 300,000 წევრი ჰყავდა, ამ წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა და მას ახლა, ალბად, 600—700 ათასი წევრი ყავს. ის რ. კ პარტიაზე დიდია. მან კიდევ ბევრი უნდა შეისწავლოს, თუ როგორ უნდა ბრძოლა და გამარჯვება. მას კიდევ მძიმე ბრძოლა მოელის წინ.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

გერმანიის ბურჟუაზია თავისი რეიხსტაგის სახით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გამართავს. გერმანიის იუნკრები—ეს რუსის მემამულეები არ არიან, ამიტომ გერმანიის მუშების ბრძოლა თავისი სიმკაცრით ბევრათ გადააჭარბებს ჩვენს ბრძოლას 1917 წელში, და შესაძლოა, სამოქალაქო ომის მთელ პერიოდსაც. გერმანიის მუშას მოუხდება ბრძოლა უფრო მძიმე პირობებში, ვიდრე ჩვენ. ჩვენ ფართე ტერიტორია გვაქვს. ჩვენ არა ერთხელ დაგვითმია ხარკოვი და კიევი, და რომ თვით მოსკოვის და პეტროგრადის დათმობაც გამხდარიყო საჭირო, ჩვენ მაინც განვაგრძობდით ბრძოლას, და ჩვენ რესურსებს მოგვცემდა ციმბირის თვალუწვდენელი სივრცეები. გერმანიის პროლეტარიატის ბედი რეინსა და ოდერს შუა გადაწყდება. მცირე სივრცეზე ის გარშემორტყმულია მტრებით, ბატონი პუანკარე. შესაძლოა. ერთბაშად ვერ გაბედავს გერმანიაზე შეტევაზე გადასვლას, მას რევოლიუციონური გერმანიის დაშლის იმედი ექნება ისე, როგორც თავის დროზე მოკავშირეებს რევოლიუციონური რუსეთის დაშლის იმედი ჰქონდათ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ საფრანგეთი რურიდან არ წავა, რომ პოლონეთი დაიკავებს აღმოსავლეთ პრუსიას, რომ ინგლისი ან დაიკავებს ან ბლოკადას გამოუცხადებს ჩრდილოეთ-გერმანიის ნავთსადგურებს. ამიტომ ახლა, როცა ამბები ახლოვდებიან, ჩვენ მას თვალყური უნდა ვადევნოთ არა როგორც უბრალო მაყურებლებმა, არამედ **როგორც კლასმა, რომლის ხელშია ძალა უფლება დიდ ქვეყანაში და რომელიც მზად არის დაეხმაროს გერმანიის მუშებს.**

ჩვენ უნდა დავეხმაროთ გერმანიის მუშებს.

როცა ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომელიც საგრძნობ უკან დახევას წარმოადგენდა, ჩვენ ამას იმით ვხსნიდით, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გაამაგრებს რუსეთს, გააძლიერებს მის ეკონომიურ ძალებს, რომ იმ დროს, როცა დასავლეთში იფეთქებს რევოლიუცია, შევძლოთ დახმარება იქ დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ჩვენ რომ ახლა გერმანიის ამბებს გულგრილად უცქეროდეთ ჩვენი მტრები მართალი იქნებოდენ, როცა ამბობდენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის უარის თქმა ჩვენს რევოლიუციაზე, რომ ჩვენც გვსურს დამშვიდებით ვიცხოვროთ—დეე, ჩვენს გარშემო ყველაფერი დაიღუპოს. **გერმანიის პროლეტარიატი ევროპაში მსოფლიო რევოლიუციის მთავარი საფუძველია.**

არა მარტო სოლიდარობის გრძნობის, არამედ ჩვენი ინტერესების ფხიზლად გაგების გამო ჩვენ უნდა დავეხმაროთ გერმანიის მუშას იმით, რასაც ის მოგვთხოვს. გერმანიის რევოლიუციის დამარცხება იმავე დროს შეიქმნებოდა დასაწყისი ფართე სამხედრო ინტერვენციის დაწყებისა კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ საბჭოთა რესპუბლიკების წინაამდეგ. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მომენტში გერმანია ფართე პლაცდარმი შეიქმნება საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ მიმართულ ყველა ძალებისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი გამარჯვება სამოქალაქო ომის პერიოდში, ერთი მისამედით იმის შედეგი იყო, რომ მოკავშირეებმა ვერ გაატარეს თავისი ჯარები გერმანიის ტერიტორიით და იძულებული იყვნენ შორი გზით ესარგებლათ. გერმანიის რევოლიუცია, შესაძლოა, დღემდი ცუდი რევოლიუცია იყო, მაგრამ მისი წყალობით პოლონეთმა მაინც ვერ მოახერხა ისე ფართოდ ესარგებლა საფრანგეთის სამხედრო დახმარებით, როგორიც შესაძლებელი იქნებოდა, რომ გერმანიის მუშებს უარი არ ეთქვათ პოლონეთისთვის სამხედრო მასალების დატვირთვაზე ჩვენ არ გვეჭირდება იმის მტკიცება, თუ რა არის ზავი. ჩვენ გვწყურია ზავი და მომავალში ჩვენ დამშვიდებით დაუცდით გერმანიის ამბების განვითარებას, თუ უცხოეთის სახელმწიფოები არ ჩაერევიან გერმანიის მუშათა კლასის საქმეში. მაგრამ ასევე გადაჭრით ჩვენ განვაცხადებთ, რომ **თუ მოკავშირეები ჩაერევიან, ჩვენ არ დავრჩებით გერმანიის რევოლიუციის ბედის გულგრილად მაყურებლის როლში. ჩვენ ამას ვეუბნებით ჩვენს მეზობლებს გერმანიასა და რუსეთს შუა. ჩვენს თავს კი ვეუბნებით, რომ ამ მომენტისათვის მზად უნდა იყოს ქარხნები, რკინისგზებზე კი წესრიგი უნდა სუფევდეს. რუსი მუშა იტყვის: იმისთვის კი არ ვიტანჯებოდი, რომ დავთმო ჩემი გამარჯვება“! (ხანგრძლივი. მქუხარე აპლოდისმენტები)**

ჩვენ გვსურს რევოლიუციის გამარჯვება.

ამხანაგებო, მარტო აპლოდისმენტები არ არის საკმაო. მოვა დრო, როცა რკინის გზაზე, ქარხნებში, საჭირო იქნება იმის დამტკიცება, რომ ჩვენ გვსურს რევოლიუციის გამარჯვება მთელს მსოფლიოში. ჩვენ დავიპყარით მსოფლიოს მეექვსედი ნაწილი, მაგრამ ეკონომიურად ძლიერ ნელის ნაბიჯით მივდივართ წინ. გერმანიის მუშა, ყველაზე ძველი, ყველაზე გამოცდილი და ყველაზე მრავალრიცხოვანი მუშათა კლასია. როცა ჩვენ გავერთიანდებით მათთან, ჩვენ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის გადაქცევას სოციალისტური შრომის ქვეყნად და პირველათ შევსძლებთ მივცეთ გლეხს ის, რაც მას ესაჭიროება. ჩვენ კურსკის გუბერნიაში გვაქვს ქვანახშირის მადანი, რომლის შესადარი, შესაძლოა, მთელს მსოფლიოში არ მოიძებნება. მაგრამ გერმანიის მუშათა კლასის დაუხმარებლათ ის უქმად იქნება მიწაში კიდევ მრავალი წლების განმავლობაში გერმანიის მუშის დახმარებით ჩვენ, ჩვენს ქვეყანას რკინისა და ბეტონის ქვეყნად ვაქცევთ.

ჩვენ არ ვაწარმოებთ არავისი შიშების პოლიტიკას, ჩვენ გვსურს ზავი, მაგრამ თუ თქვენ გსურთ ზავი, არის მხოლოდ ერთი საშვალება—მუშათა კლასის გაძლიერება. მხოლოდ მაშინ, როცა მოწინააღმდეგეთ ეცოდინებათ, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა დავიცვათ ჩვენი ინტერესები, ის მოერიდება პროვოკაციას.

ჩვენ შევდივართ რევოლიუციის ახალ ფაზაში—მსოფლიო რევოლიუციის ფაზაში და, როცა გერმანიის მუშათა კლასი შეგვეკითხება ჩვენ:

— თქვენ მზად ხართ?

ჩვენ უპასუხებთ:

— დიახ, ჩვენ მზათა ვართ!

ამხ. რადეკის სიტყვებს ფარავს მქუხარე აპლოდისმენტები. ორატორს ოვაციებს უმართავენ.

რეზოლიუცია მიღებული ამხ. რადეკის მოხსენების გამო.

მოისმინა რა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, ხარკოვის ქალაქის საბჭოს პლენუმი საქარხნო-საფაბრიკო, ადგილობრივ კომიტეტებთან და პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებთან ერთად ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ხარკოვის მშრომელ მასებს არ შეუძლიათ გულგრილათ უცქირონ გერმანიის ამბებს.

დღევანდელი კრება, არის რა საერთო გრძნობების გამომხატველი, სიამოვნებით აღიარებს, რომ გერმანიის მუშების უმრავლესობა, უარყოფს რა კოალიციას ფაბრიკანტებთან და ბანკირებთან ძმურ ხელს უწოდებს გლეხობის გაღატაკებულ მასებს და მოუწოდებს მათ არ მისცენ საშვალება ლუდენდორფებს და სტინესებს გამოიყენონ ისინი, როგორც საზარბაზნე ხორცი, არამედ ჩაუდგენ გვერდში პროლეტარიატს, რომელიც იბრძვის არა მარტო საკუთარი, არამედ გერმანიის მთელი მშრომელი და ტანჯული ერის განთავისუფლებისათვის.

ხარკოვის საბჭო მოუწოდებს მუშებს და წითელ არმიელებს მოიგონონ ის მსხვერპლი, რომელიც გაიღეს გერმანიის მუშებმა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის ინტერვენციასთან ბრძოლის დროს, მოიგონონ, თუ როგორ აგროვებდენ თვითონ დამშეული გერმანიის მუშები დახმარებას რუსეთის დამშეული მუშებისა და გლეხებისათვის.

დადგა დრო, როცა საბჭოთა რესპუბლიკებმა, რომლებმაც დაამარცხეს სიმშილი და აღადგინეს თავის მეურნეობა, უნდა დაეხმარონ გერმანელ მუშებს მათ მძიმე ბრძოლაში.

ხარკოვის საბჭო მოუწოდებს მუშებს და წითელ არმიელებს მოაწყონ შემოწირულებათა შეგროვება გერმანიის დამშეულ მუშებისათვის.

ხარკოვის საბჭო მოუწოდებს ყველა ქვეყნების მუშებს უკვე ახლა მოახდინონ თავისი ძალების მობილიზაცია, რომ ხელი შეუშალონ ანტანტის ჩარევას გერმანიის შინაურ საქმეებში.

ანტანტის პოლიტიკა არის—მზადება ომისათვის.

ყოველი ღონისძიება უნდა იქნას ნახმარი, რომ გერმანიის ამბების განვითარებამ არ გამოიწვიოს ახალი საერთაშორისო ომი. ხარკოვის საბჭო მოუწოდებს საბჭოთა მთავრობას და ქვეყნის მთელ მშრომელ მოსახლეობას იყოს მზად და გააძლიეროს ქვეყნის დაცვის ზომები, რათა ააცილოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს ახალ სისხლის მღვრელ ომში ჩათრევის საფრთხე, რასაც უგუნურათ, მაგრამ შეუჩერებლათ ამზადებენ იმპერიალისტები და კაპიტალისტები.

---

*) რედაქციისაგან. დღეს დოლარი 120 მილიონი მარკა ღირს.

მუშათა ცხოვრება

ახალგაზრდა შეფი

კვირას, 9 სექტემბერს, ახალგაზრდა მბეჭდავების იაჩეიკამ მიიღო სოფ. გრაკალზე შეფობა.

სოფელი გრაკალი 50 ვერსზეა დაშორებული ქალ. ტფილისიდან; იგი დასახლებულია დაახლოვებით 60 კომლით; არიან საშეფო კომისიაში როგორც კომუნისტები, ისე უპარტიო ამხანაგებიც. სოფელში ჩასვლისათანავე შეფთა კომისიის მიერ მოწვეულ იქნა მიტინგი, რომელსაც დაესწრო დიდი ნაწილი მოსახლეობისა.

ჩასულებს დიდის სიხარულით შეხვდნენ სოფლის ახალგაზრდები. მიტინგი გახსნა სოფლის ადგილობრივმა კომისარმა.

ახალგაზრდა მბეჭდავების სახელით სიტყვას იღებს და ესალმება მიტინგს ახალგაზრდა ასოთამწყობი მ. დანელია, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში მშვენივრად ახასიათებს ქალაქის და სოფლის კავშირის მნიშვნელობას და ფიცსა სდებს მზრუნველობის ღირსეულად შენარჩუნებისათვის. შემდეგ ამავე საგანზე ლაპარაკობს ამხ. იაშვილი, რომელსაც გულმოდგინედ უსმენდა სოფლის ახალგაზრდობა.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

— მოვისმინეთ რა მე 4 რაიონის ახალგაზრდა კომკავშირის წარმომადგენელთა ამხ. ამხ. დანელიასი, იაშვილის და დარფინიანის მოხსენება სოფელზე შეფობის მიღების შესახებ, ჩვენ, სოფელ გრაკალის კომკავშირის წევრები და უპარტიო გლეხობა მივესალმებით მათ სულით და გულით, რათა მათ მიიღონ ჩვენ, სოფელზე მზრუნველობა და ვუსურვებთ მჭიდრო კავშირს ჩვენთან—გლეხობასთან, მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ.

— გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!

— გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

— გაუმარჯოს სოციალიზმს!!

რეზოლიუციის მიღების შემდეგ მიტინგი დახურულად გამოცხადებულ იქნა.

მუშა გ. გ—ძე.

კრედიტი მუშებისათვის

ბევრი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გაზეთებში სწერენ მუშებისათვის კრედიტის გახსნის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ეს საკითხი მაინც ვერ მოგვარდა სასურველად. რაშია საქმე? ნუ თუ ვერავინ ვერ შესძლო ამ საქმის ასე თუ ისე გაკეთება? პირველ მოთხოვნილების საგნები ტფილისში ძალიან ბევრია და მათი მუშების ნისიაობა შესაძლებელია სულ ადვილად. მიუხედავად ამისა მუშებს ვერავითარ კრედიტს არ უხსნიან. ზოგჯერ სინჯეს თვით მუშებმა კრედიტის გახსნა ზოგიერთ დაწესებულებებთან, მაგრამ ამ კრედიტობის გამო ისეთი დღე დაადგათ, რომ თავზედს იწყევლიან დღეს; ზოგმა მათგანმა გამოიტანა ფართლეულობა იმ დროს, როდესაც ჩერვონეცი ღირდა 16 მილ. მან. და აქნობამდე ვერ გაუსწორებია მისი ვალი. ყოველ თვე, სანამ ის თავის წვლილს შეიტანდა, ჩერვონეცის კურსი ერთი ორად მატულობდა და (დღეს კი ის 45 მილიონი ღირს—სამჯერ მეტი) ისეთ დღეში ჩავარდნენ მუშები, რომ მთელი თვე მარტო იმისთვის მუშაობდნენ, რომ როგორმე ვალი გაესწორებიათ კრედიტორებთან, მაგრამ ამაოდ: ჩერვონეცის კურსი სულ იწევს და იწევს. მუშას ერიცხება ვალის გასასწორებლად თითქმის მისი თვიური ჯამაგირი მთლიანად და ის სრულებით უფულოდ რჩება.

ამ გვარი ნისიაობა სრულებით დამღუპველია მუშისთვის და ასეთი დაღუპვა მუშებისა რომ არ მოხდეს მომავალში, ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს და დროზე გაეხსნას მუშებს ნამდვილი და მათთვის ხელსაყრელი კრედიტი, რომ მათ მართლადაც გაუადვილდეთ ცხოვრების სიმძიმე და არ ჩავარდნენ უფრო მეტ უბედურებაში, როგორც ჩვენ ზევით ვსთქვით.

მუშკორი ასოთამწყობი.

რა აფერხებს შრომის ბირჟის მუშაობას?

1

თუ კი ზოგიერთ სამუშაოზე და სამსახურში ისმის მუშა-მოსამსახურეებისგან გულის გოდება და კვნესა ცხოვრების აუტანელ პირობების შესახებ, როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში მრავალი ცოლშვილით დატვირთულ უმუშევართა მდგომარეობა. ცხადია, რომ აუტანელი და ძალიან ცუდი. არის მრავალმხრივი მეცადინეობა, რომელიც, ვფიქრობთ, გამოაკეთებს მდგომარეობას, დღეს თუ ხვალ.

ამ ჟამად მიმდინარეობს შრომის ბირჟაში უმუშევართა გაწმენდა. ჯერჯერობით დასრულებულია ბუღალტერიისა და მისი სხვა დარგების პროფესიის უმუშევართა გაწმენდა. გამწმენდ კომისიაში მონაწილეობას ღებულობენ ტფილისის შრომის ბირჟის თავმჯდომარის ამხ. ჯუღელისა და ამავე ბირჟის საბჭოთა მოსამსახურეების სექციის გამგის ამხ. ტარხანოვის გარდა, პროფკავშირების დავალებით ბუღალტერიის მცოდნე პირები: 1) უმაღ. სამ. საბჭოს მთავარი ბუღალტერი ამხ. აპრესიანი და 2) ამხ. აბრამიანცი.

გამწმენდი კომისია, გარდა იმისა რომ უმუშევრებს წმენდს სპეკულიანტებისაგან, ნამდვილ პროფესიონალებს, აწარმოებს აგრეთვე უმუშევრების შეფასებას, თუ რამდენადაც ისინი შეესაბამებიან იმ ხელობას, თუ პროფესიას, რომელზედაც ისინი იყვნენ შრომის ბირჟაში ჩაწერილნი.

ამ გვარად წარმოებული გამოცდა გვიჩვენებს, რომ 132 „ბუღალტერში" ნამდვილი ბუღალტერი აღმოჩნდა მხოლოდ 11. 234 მოანგარიშეებში—ნამდვილი ამ პროფესიის აღმოჩნდა 160.

თითქმის ამდენადვე შემცირებს გამოცდა ბუღალტერიის სხვა დარგებზე ჩაწერილ უმუშევრებს. კომისიამ თავის დაკვირვებით გადააჯგუფა ისინი სხვა და სხვა შესაფერ პროფესიისათვის.

როგორი მდგომარეობა იქნებოდა, რომ 132 „ბუღალტერში" არ გამოერკვიათ ნამდვილი ბუღალტრები?

მდგომარეობა ისეთი იქნებოდა, რომ ისინი ადრე, თუ გვიან, გაიგზავნებოდენ დასახელებულ თანამდებობაზე. ამას შედეგად ის მოყვებოდა, რომ მათი დიდი უმრავლესობა ისევ უკან—ბირჟაში გამობრუნდებოდა, როგორც უვარგისები—გამოცდის შემდეგ. ეს კი ძალიან შეუშლიდა ხელს ბირჟას წარმოებას და ამით, თავის თავად ცხადია, შეფერხებული იქნებოდა თვით უმუშევრობის საკითხის მოგვარება.

ჩვენის აზრით, უმუშევრებისათვის უფრო სასარგებლოდ მოეწყობა საქმე, თუ კი ისინი არ შეიყვანენ შეცდომაში, როგორც ბირჟას, ისე თავიანთ თავს, როგორც ეს ნახსენებია ჩვენ მიერ ზევით.

მუშკორი ჩხმელი.

აუცილებლად გამოსწორებულ უნდა იქნეს

(ჯანსახკომის და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ამ ჟამად სამსახურიდან დათხოვნილია განთქმული ექიმი ი. ვარაბიოვი, რომელიც განაგებდა ლითონის განყოფილებასთან არსებულ ცენტრალურ ამბულატორიას.

ვინც იცნობს ვარაბიოვს და გათვალისწინებული აქვს ლითონის განყოფილების ცენტრალური ამბულატორიის მუშაობა მისი 2 ნახევარ წლის განმავლობაში, ის ადვილად ხმას ამოიღებს ასეთი დათხოვნის წინააღმდეგ. ჯანმრთელობის კომისარიატის საავადმყოფო კასის განკარგულებით ამჟამად მოხსნილია თანამდებობიდან ექიმი ვარაბიოვი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ცენტრალურ ამბულატორიას ლითონის განყოფილებაში ჯერ კიდევ ცენტრალურ საავტომობილო სექციის არსებობის დროს. უკვე მოხსნილმა სამსახურიდან ექიმ ვარაბიოვმა თავის ინიციატივით მოაწყო მუშებისათვის საექიმო დახმარება: ის ყოველთვის უფასოდ უდგა მუშების და მათი ოჯახების ჯანმრთელობის ინტერესებს. თვისი ნაზი მოპყრობით, ექიმური დარიგებით და გულმოდგინე გასინჯვით, ავადმყოფ მუშებს ვარაბიოვი ყოველთვის დახმარებას უწევდა. არც ერთი მუშა მისგან უკმაყოფილო არ გამოსულა; ყველას მისგან ახსოვს ექიმის ტკბილი სიტყვა, დარიგება და საექიმო დახმარება.

ჩვენს მელითონე მუშებში ვარაბიოვის დათხოვნამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ჩვენ ამაში ვხედავთ უსათუოთ პირად ინტერესების ძიებას და არა საზოგადოებრივ თვალსაზრისს. ამ ჟამად ისე გამრავლდნენ ახალგაზრდა ექიმები, როგორც სოკოები, რომელნიც ეპოტინებიან ამბულატორიებს და საავადმყოფოებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ვგონებთ, რომ ეს „ექიმები" არამც თუ საქმეს არ გააკეთებენ, პირიქით, დაღუპავენ მუშებსაც, სადაც მხოლოდ პრაქტიკას იწყებენ.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ სახ. ჯანმრთ. კომისარიატმა ყურად იღოს მელითონეების თხოვნა და ექიმი ვარაბიოვი კვლავ დაუბრუნოს ჩვენს ამბულატორიას, რადგანაც ასეთი ექიმი იშვიათია.

მუშკორი მელითონე.

მექანიკურ-საარტილერიო ქარხანაში (არსენალში)

ა. წ. 18 აგვისტოს მოხდა ხსენებულ ქარხნის მუშათა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 300 კაცი.

დღის წესრიგში იდგა საკითხები: 1) მოხსენება საჰაერო ფლოტის შესახებ; 2) საინფორმაციო მოხსენება მელითონეთა კავშირის მუშაობის შესახებ; 3) მოხსენება სრულიად რუსეთის მელითონეთა კონფერენციის შესახებ; 4) საქარხნო კომიტეტის ანგარიში და 5) ახალი კომიტეტის არჩევნები.

საჰაერო ფლოტის შესახებ პროფკავშირის პას. მგებელ მდივნის ამხ. მაჩაიძის ვრცელი და საინტერესო მოხსენების შემდეგ, მუშებმა ერთხმად დაადგინეს აუცილებლად საჭირო საჰაერო ფლოტის შექმნა და ჩაწერა მის მეგობართა საზოგადოებაში.

მელითონეთა კავშირის მოღვაწეობაც კრებას ამხ. მაჩაიძემ გააცნო, რაც ფრიად დამაკმაყოფილებლად იქნა ჩათვლილი მუშების მიერ.

მოხსენება სრულიად რუსეთის მელითონეთა კონფერენციის შესახებ კრებამ გადადვა მთელი თბილისის მელითონეთა საერთო კრების მოწვევამდე.

ყოფილ საქარხნო კომიტეტს მისი მოღვაწეობის შესახებ მოხსენების შემდეგ, მადლობა გამოეცხადა კრების მიერ და ახალ კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ფსოვი, კოკონაშვილი, გოზალოვი, მეხრიშვილი და მათ კანდიდატებად: სხირტლაძე, მარტიროსოვი, თითბერიძე და ვისრამიშვილი.

მიმდინარე საკითხებში მუშებმა გამოსთქვეს სურვილი მელითონეთა კავშირთან საურთიერთო დამხმარე კასის დაარსების შესახებ.

მუშკორი ველი.

მუშათა ქრონიკა

— **ტანისამოსი მელითონეთათვის.** ამ დღეებში რუსეთიდან ჩამოვიდა ჩვენი მელითონე მუშებისათვის დიდძალი მანუფაქტურა და ტანსაცმელები, რომელიც მუშებს დაურიგდებათ ახლო ხანებში შეღავათიან ფასებში.

უხდათ მთელი დღე ცდა სახერეზე, როდესაც სხვა საშუალება შეიძლებოდა.

საჭიროა ხაშურის „უჩკპროფსოჟ-მა" მიაქციოს ყურადღება ნიკოლოზის ასეთ ჩინოვნიკების მოქმედებას, რომელნიც განზრახ ხელს უშლიან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და პროლეტარულ კულტურის განვითარებას.

ჩვენ უსურვებთ შორაპნის მაზრის მშრომელ ხალხს ასეთი ლამპარი კულტურისა გახსნილიყოს იქ, სადაც დღეს კიდევ გრძელწვერა მატყუარა ხუცები თვალს უხვევენ გლეხებს და მიყავთ უფსკრულისაკენ.

სახერის თეატრს კი ჩვენ უსურვებთ თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

ანქანი.

ქ. სურამი.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, 2 სექტემბერი ქ. სურამში ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული. ჯერ კიდევ წინა დღით 1 სექტემბერს სადამოთი ჯარის ნაწილები, ქ. სურამში მდგომნი, ორკესტრით და დროშებით გაემართა სადგურისაკენ, სადაც უნდა დახვედროდა 8 ნახევარი საათის მატარებლით მომავალ ხაშურის ახ-კომ. კავშირის წარმომადგენლებს. აქედან მთელი სურამ-ხაშურის ახალგაზრდობა დაიძრა და ლენინის სახელობის საზაფხულო თეატრისაკენ, სადაც გაიხსნა საზეიმო სხდომა, ილაპარაკეს სხვა და სხვა ამხანაგებმა, რომლებმაც დაახასიათეს ახალგაზრდობის როლი საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაში. მეორე დღეს, 2 სექტემბერს, ქ. სურამი წითელი დროშებით და გირლიანდიებით მორთული, მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. დილითვე ხაშურის და სურამის ახალგაზრდობამ თავი მოიყარა წითელი ჯარის საზაფხულოდ სადგომ ფართო ეზოში, სადაც გაიმართა მიტინგი. ილაპარაკეს მრავალ ამხანაგებმა, რომლებმაც დაახასიათეს საერთაშორისო მშრომელ ახალგაზრდობის მოძრაობა. და განმარტეს 2 სექტემბრის მნიშვნელობა. მიტინგის დახურვისას ჯარმა მთელი ახალგაზრდა სტუმრები მიიპატიჟა სადილზე საღ. 4 საათ. ახალგაზრდობა წავიდა ხაშურისაკენ, სადაც უნდა გამართულიყო მიტინგი. საღამოთი საქართველოს პროლეტკულტის სტუდიელების მიერ, რომლებიც ამ დღეს აქ დაესწრენ, გამართული იქნა უფასო სალამო.

ნასიამოვნები და კმაყოფილი საზოგადოება დაიშალა ღამის 12 საათზე.

ი. გოგოშიძე.

ბიბლიოგრაფია

„მომავალი" № 8 (15).

ამ დღეებში გამოვიდა ჟურნალის (15) ნომერი, რომელიც თავისი შინაარსის სიმდიდრით და განყოფილებების სიმრავლით, სხვა ნომრებს არ ამოუვარდება.

ნომერში ექვსი განყოფილებაა, რომელთა შორის უმთავრეს ყურადღებას იქცევს ლიტერატურული და თეორიულ-მარქსისტული განყოფილებები. ლექსებს შორის აღსანიშნავია ა. მაშაშვილის ლექსები, რომლებიც ყურადღებას იქცევენ თავისი დინამიურობით, თავმოყრილია ფუტურიზმის დინამიურობა (გარეგნობა) და პროლეტარულ-კლასობრივი შინაარსიანობა.

მაშაშვილი ნიჭიერი ახალგაზრდაა. ის საუკეთესო მაჩვენებელია მისი პოემაც „მდინარდენა". სხვათა შორის, ავტორი ამ პოემას შესანიშნავის სიტყვებით აბოლავებს:

„დამ-და დი-ნა მო, დამ-დი-და,
„ო, მესიავ, მაშ, დაჰკარი,
„დარდმა დინამო ადიდა
„პოეზიამ შაშ-დაგა-რრა!"

ეს ლექსი თავისი შინაარსით და სტილით ძლიერ მოგვაგონებს რუსეთის ცნობილ პოეტ მაიაკოვსკის ლექსებს (რა თქმა უნდა, განსხვავებაც არის).

საინტერესოა აგრეთვე შ. მჩიტაიშვილის ლექსი „დაგრეხილი პოლიუსები".

რაც შეეხება ანაზდეულის და ფოლიანიშვილის ლექსებს, მათგან მკითხველი ყოველთვის მეტს მოელოდა ამ უკანასკნელი ლექსებთან შედარებით.

ლიტერატურულ განყოფილებაში მოთავსებულია აგრეთვე სეზმან ერთაწმინდელის პოემა, („აჯანყებული დემონი"), რომელიც თანამედროვე მკითხველში დიდ განცვიფრებას იწვევს თავის შინაარსისა და სტილის სიმახინჯით. ეს პოეტი იმათგანია, რომელსაც რუსეთში „ობივატელურ-პროლეტარულ" პოეტებს უწოდებენ და რომელთაც თავის მიზნათ სიტყვებისა და რითმების რახუნი დაუსახავთ. ეს პოემა, როგორც თვით ავტორი უწოდებს (შემთხვევით), მხოლოდ რითმათა კრებულია, რომელშიაც არავითარი სილამაზე და ესტეტიურობა არ არის, თავის ძველებურის ენით და რითმების შეუხამებელი აწყობით ის მკითხველში ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ განყოფილების კრიტიკულ წერილთა შორის უმთავრეს ყურადღებას იქცევს ვ. ლუარსაბიძის წერილი („ხელოვნების კოლიზია"), რომელიც მდიდარია თავისი შინაარსითა და წამოყენებული დებულებებით; მასში ხელოვნება „როგორც ნაწილი იდეოლოგიისა", წმინდა კლასიური თვალთხედვითაა გაშუქებული. ავტორს კარგათ შეუგნია ხელოვნების კლასიურობა და თავის ნაშრომში შემდეგ დებულებას აყენებს. „პროლეტარული პოეზია თვით მუშათა კლასის ყოფაცხოვრების სპეციალ პირობებით ისაზღვრება: მის მდგომარეობით წარმოებაში, ორგანიზაციის ტიპით და მისი ისტორიული ხვედრით".

გარდა ამისა არის კიდევ კრიტიკული წერილი („მონოგრაფია") პატივცემულ მწერალ ბარნოვისა ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს წერილი სრულიად არ შეეფერება ისეთ ორგანოს, როგორიცაა „მომავალი". ეს ჟურნალი პარტიული ორგანოა და მასში ყოველივე საკითხი განხილული უნდა იქნეს სასტიკად კლასობრივი თვალსაზრისით; აღნიშნულ წერილში კი სრულიად დავიწყებულია საკითხის კლასობრივ თვალსაზრისით გაშუქება.

რაც შეეხება თეორეტიულ-მარქსისტულ განყოფილებას, უნდა ავღნიშნოთ, რომ ის უფრო მოისუსტებს, ვიდრე წინანდელ №№-ბში. მოქ. კოსოლის წერილები უკვე ოთხი ნომერის ფურცლებზე იბეჭდება და მის გათავებას არ ეშველა. თავისი შინაარსით ეს წერილები ძლიერ შაბლონიურია და ფილოსოფიის ისტორიკოსების მიერ ათასჯერ „გადაღეჭილი".

ამ განყოფილებაში დაბეჭდილია ამხ. ქ. ორაგველიძის წერილი „ნაციონალურ საკითხზე", რომელიც მკითხველის ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსიანობით და საკითხის ყოველმხრივად გაშუქებით. აგრეთვე ინტერეს მოკლებული არ არის ა. ბუნებიშვილის წერილი, „რელიგია და მეცნიერება" (თუმცა მიდგომა საკითხისადმი აქაც შაბლონიურია). საინტერესოა აგრეთვე ჟურნალის მოწინავე „საერთაშორისო ახალგაზრდათა დღის" შესახებ და ამხ. ქ. ცინცაძის წერილი (თუმცა წერილი „წარსულიდანაა").

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე შესანიშნავი მოთხრობის „ფსიქო მანქანა"-ს თარგმანი და პ. ცინცაძის მოგონებანი; აგრეთვე ქრონიკაც მდიდარია. ყდა მხატ. დ. ქუთათელაძისაა. ის არ ჩამოურჩება წინანდელს. ჟურნალს ერთი ტეხნიკური ნაკლი აქვს: მასში ბევრი კორექტურული შეცდომებია.

ვ. ლეონარდი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 107

საქართველოს სოც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოისა.

წითელი არმიისათვის წყალზე და ელექტრონზე შეღავათიან ტარიფის დაწესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს, მიაჩნია რა საჭიროდ შეღავათიანი ფასის დაწესება წითელი არმიისათვის კომუნალური სამსახურის გაწევის საფასურად, **ადგენს:**

1. დაწესებულ იქნეს წითელი არმიის ყველა ნაწილისათვის და აგრეთვე წითელ არმიაში მოსამსახურეთათვის შეღავათიანი ტარიფი წყალზე და ელექტრონზე და იგი აღირიცხებოდეს: თვითეულ ვედრო წყალზე 1|5 საჩერვონო კაპეიკისა, ხოლო ელექტრონის ენერგიის თვითეულ კილოუატ-საათზე 20 საჩერვონო კაპეიკი.

2. მოქმედება ამ დადგენილებისა გავრცელებულ იქნეს მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ხალარაძე.

1923 წ. სექტემბრის 6.
ტფილისი—სასახლე.

იუსტიციის სახალხო კომისარიატისა.

1. აღსასრულებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის დადგენილებისა, სასამართლოს წყობილების ახალი დებულების სამოქმედოთ შემოღების შესახებ და იმის გამო, რომ ახალი სასამართლოების ორგანიზაციის პროცესი უკვე მთავრდება, სახალხო მოსამართლეთა საბჭო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალი და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალი გაუქმებულად ჩაითვალონ 1923 წლის სექტემბრის 16-დან.

2. აღნიშნულ სასამართლო დაწესებულებაში მყოფი საქმე, ზემოთ ნაჩვენები დროისათვის გადაცემულ იქნეს ახალი სასამართლო დაწესებულებებში ქვემდებარეობისამებრ.

იუსტიციის სახალხო კომისარი: ი. ვარძიელი.

სასამართლოს მომწ. განყ. გამგეს მაგ. ი. რთინიშვილი.

დადგენილება № 36

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

15 სექტემბერი, 1923 წ.

„სექტემბრის თვეში შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმის შესახებ".

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის § 59-სა, შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს.

1. ს. ს. ს. რ. ტერიტორია ადგილობრივ ცხოვრების პირობების მიხედვით დაიყოს 2 სატარიფო ზოლად: 1-ლ ზოლს (100 პროც.) მიეკუთვნოს ქალაქები—ტფილისი, ბათომი (აჭარისტანი), სოხუმი (აფხაზეთი), ბორჯომი, ტყიბული, ფოთი და მაზრები—რაჭისა და ლეჩხუმისა, მე-2 ზოლს (90 პროც.) მიეკუთვნოს საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორია.

2. დაწესდეს სექტემბრის თვეში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკისთვის შრომის ხელფასის მინიმუმი 1-ლ ზოლისათვის 32.000.000 მან. (ოცდა თორმეტი მილიონი მან.), მეორე ზოლისათვის—28 000.000 მან. (ოცდა რვა მილიონი მანეთი).

ცხრილში შეფარდება წესდება 1:5-თან.

3. ამა დადგენილების მეორე მუხლში დაწესებული განაკვეთები ნორმალურ სამუშაო დროისათვის წარმოადგენს თვიურ გასამრჯელოს სავალდებულო მინიმუმს, რომლის ნაკლების მიცემის უფლება არა აქვს არც ერთ სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებას.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ა. მიქაძე.

საერთო-საორგან. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმისა (1000 მანეთებში ა. | ქ. ფულის ნიშნებით).

ხარისხი	1-ლი ზოლი	მე-2 ზოლი
1	32.000	28.800
2	38.400	34,560
3	44 800	40 320
4	51.200	46.080
5	57.600	51.840
6	64 000	57.600
7	70.400	63.360
8	76 800	69 120
9	86 400	77.760
10	96 000	86.400
11	102.400	92.160
12	108 800	97.920
13	118.400	106 560
14	128.000	115 200
15	137 600	123,840
16	147.100	132 480
17	160.000	144.000

ს. ს. ს. რ. შ. კ. საერთო-საორგან. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

დადგენილება № 37

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

15 სექტემბერი, 1923 წ.

1923 წ. სექტემბერში შრომის ხელფასის მაქსიმუმის შესახებ.

თანახმად ა. | ქ. სახალხო კომისართა საბჭოს 14 ივნისის დადგენილებისა, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესდეს სექტემბერში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო და სახელმწიფოსგან რესურსების მიმღებ ყველა წარმოება-დაწესებულებებში შრომის ხელფასის მაქსიმუმი 1.200 მილიონი მან. (ერთი მილიარდი ორასი მილიონი მანეთი), ე. ი. 150 საქონლის მან. 8 მილ. საქონლის მანეთის ფასობის კვალობაზე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მაქსიმუმის შრომის ხელფასში შედის შრომის დაჯილდოების ყველა სახეები, მათ რიცხვში ჯამაგირი, ზედმეტ მუშაობის, შეთავსების, საკონსულტაციო ჯილდო და სხვა.

შენიშვნა: მაქსიმუმის ანგარიშში არ შედის მხოლოდ ჯილდო ცალკე ლიტერატურული, მეცნიერული, არტისტიული, გამოგონების და მხატვრული შრომისა და აგრეთვე ტანტიემა.

3. შუამდგომლობანი ცალკე უმაღლეს კვალიფიკაციურ სპეციალისტთათვის მაქსიმუმზე ზევით ჯილდოს დაწესების შესახებ ა. | ქ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 7 ივნისის დადგენილების თანახმად, უნდა გაიგზავნოს ა. | ქ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ „პასუხისმგებელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ხელფასის დამწესებელ კომისიაში", რომელიც უკანასკნელს თავის დასკვნითურთ აგზავნის ა. | ქ. სახალხო კომისართა საბჭოში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

საერთო-საორგან. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ოთხშაბათს, 19 სექტემბერს, დილის 10 საათზე ტფილისის კომიტეტის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში გაიმართება

სამანდატო კომისიის თათბირი

მუშათა ფაკულტეტზე დამატებით მიღების და მოსამზადებელ კურსის გახსნის შესახებ.
კომისიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.
სამანდატო კომისიის წევრი მ. ესსენი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის

მე-4 საუბნო კომიტეტი

იუწყება, რომ ოთხშაბათს სექტემბრის 19-ს, საუბნო კომიტეტის ბინაზე მოხდება

უჯრედების მდივანთა თათბირი

დღის წესრიგი:
უჯრედის წევრთა პოლიტ-ცოდნის შემოწმება.
ყველა მდივნების დასწრება სავალდებულოა.
პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

განცხადებები

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი

აცხადებს ყველა დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ სექტემბრის 15-დან ამიერ-კავკასიის ფოსტისა და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებში

ხმარებაში შემოდის ამიერ-კავკასიის ერთიანი საფოსტო მარკები

შემდეგი ღირებულებისა: 75,000 მან., 100,000 მან., 150,000 მ., 200,000 მ., 300,000 მ., 350,000 მან., 500,000 მ., და 700,000 მანეთიანი.

ამიერ-კავკასიის მარკებთან ერთად ხმარებაში იქნება აგრეთვე ძველი მარკები, რომლებიც ხმარებაში იყო ამიერ-კავკასიის საფოსტო მარკების გამოცემამდე.

ეს მარკები ძალაში დარჩება 30 სექტემბრამდე.

1923 წ. ოქტომ. 1-დან, ყველა წინად გამოცემული საფოსტო მარკები (მათ შორის საქართველოსი, აზერბეიჯანისა და სომხეთისა) **გაუქმებულად ჩაითვლება** და ასეთი მარკიანი წერილებს დამატებითი ღირებულება გადახდება.

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილე გეგეჭკორი.
საფინანსო-საეკონომიო განყ. უფროსი იოსელიანი.

2—1

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **ბუღალტერიის პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—41

საბუთები

უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად,

რომ მთხოვნელები უნდა

გამოცხადდნენ

განყოფილებაში ცნობების მისაღებად. 619.

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება

აცხადებს

შეჯიბრებას

ტფილისის მილიციის საჭიროებისათვის მოიჯარადრის მასალიდან

915 ქუდის და 35 „პაპახის"

დამზადებაზე. ქუდები უნდა დამზადდეს ინგლისურ მაუდიდან, ხოლო „პაპახები"—კი შავი ფერის იმ ნიმუშის მიხედვით, რომელიც იმყოფება სამმართველოს განყოფილებაში.

შეჯიბრება დანიშნულია ა. | წ. 20 სექტემბერს 12 საათზე სამმართველოს განყოფილების შენობაში (ლ. დუმბაძის ქ. №7) ოთახი №-8.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა შემოიტანონ განცხადებები დალუქული პაკეტებით, რომელსაც უნდა დაურთონ ცნობა მათ მიერ განყოფილების სალაროში ასი მილიონი მანეთის შეტანის შესახებ.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ განყოფილების სამეურნეო ნაწილის უფროსს.

განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი თაქთაქიშვილი.
ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი ახვლედიანი. 620 3—1.

თამბაქოს ტრესტის პრეისკურანტი

№ 21.

1923 წ. 12 სექტემბერი.

პაპიროსები კოლოფებში

მე-3-ე „ინგლისური"	10 მან.	
მე-3-ე „ინგლისური"	10 „	
1-ლი „სოვეტსკიე"	9 „	
მე-2 ე „სოვეტსკიე"	9 „	
1-ლი „სოლიდნიე"	9 „	
მე-2-ე „სოვეტსკიე-პროლეტარ."	9 „	
მე-5 ე „ხან-კეფი"	7 „	
მე 2 ე „ეგიპეტსკიე"	7 „	
მე-3-ე „დელიკატეს"	7 „	
მე-3-ე „სოვეტსკიე"	7 „	
მე 4-ე „სოვეტსკიე" № 9	7 „	
მე-2 ე „ირის"	7 „	
მე-4-ე „№ 105"	6 მან.	60 კაპ.
მე-2-ე „პრიმა"	7 „	

ქაღალდის შესახვევში

მე-4-ე „სლავა"	2 მან.	20 კაპ.
მე-2-ე „ეგიპეტსკიე"	6 „	60 „
მე-3-ე „დელიკატეს"	6 „	60 „
1-ლი „ბუკეტ"	6 „	60 „
მე-2-ე „ექსტრა"	4 „	70 „
მე-4-ე „დარიალ № 5"	4 „	70 „
მე-5-ე „როსკომ"	4 „	70 „
მე-2-ე „მარს"	4 „	
მე-2-ე „ზვეზდა"	4 „	
მე-5-ე „ზარია"	4 „	
მე-4-ე „მარს № 12"	3 „	80 „
მე-3-ე „№ 5 ხარ."	4 „	
მე-2-ე „ზაკავკაზსკაია ფედერაცია"	4 „	60 „

თამბაქო

მე-5-ე „კეფ"	3 „	
მე-2-ე „№ 52 საფაროვა"	3 „	
მე-4-ე „სლონ"	3 „	10 „
მე-5 ე „კრიმსკი"	3 „	
მე-6-ე „ოტბორნი"	3 „	40 „
მე-3-ე „სამსონ" მაგარ.	2 „	40 „
მე-4-ე „№ 120"	2 „	20 „
მე-5 ე „№ 108"	2 „	20 „
მე-3-ე „საერო"	2 „	30 „
მე-5-ე „შირაკ"	2 „	20 „
მე-2-ე „ნაროდნი № 110"	2 „	20 „
მე-4-ე „ნაროდნი"	2 „	
მე-5 ე „ნაროდნი"	2 „	
მე-3-ე „საგანგებო"	2 „	20 „
1-ლი „საგანგებო"	2 „	20 „
მე-6-ე „საგანგებო"	2 „	20 „
მე-6 ე „სასუნ"	2 „	
პირველი „შირაკ ნაროდნი"	2 „	
„25 ოქტომბ." ასანთი 1,000 კოლოფი	16 „	70 „

კრ. 614 3—2.

თამბტრესტი

მოითხოვეთ პაპიროსები:
„ამიერ-კავკასიის ფედერაცია"

ЗАКАВКАЗСКАЯ ФЕДЕРАЦИЯ

ხელმისაწვდომი ფასები
კარგი გემო,
სურნელოვანი

613 3—2.

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

სხივებით რენტგენის დიაგნოსტიკა

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალოს აწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვ.

[illegible], ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—19)

დაიკარგა საარიცხვო მოწმობა გაცემული სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ № 330 სერაფიონ ყარამანის ძე კიზირიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1212 1—1.

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 67. დაბადებული 1912 წ. 4 აპრილს ანტონ ქარუმიძის სახელობაზედ. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. 1211 1—1.

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 1565, გაცემული საექიმო სასანიტარო კავშირის მიერ ქსენია კონსტანტინეს ასულის ურუშაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.1213 1—1.

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 756, თამარ მჭედლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1210 1—1.

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა და მედიკო-სანიტარულ მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 1866, იოსებ ბერიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1214—1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა